



შირაკი

SHIRAKI

www.open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დადოვლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბაზეთი

№6 (9.720)

20-27 თებერვალი 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირული გამოცემა

ფოლკლორი და თანამედროობა



გვ.5

25 თებერვალი- კომუნისტური ბატალიონის დღე



გვ.6-7



გვ.3

სოციალური კარადა- ბაჭირვეულთა დასახმარებლად

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „დიდი იმედი მაქვს, როდესაც ჩვენი მოსახლეობის ფართო ფენა გაიგებს ამ იდეის შესახებ, გაცილებით მეტი ადამიანი ჩაერთვება აქციაში. ასე ერთმანეთის გვერდში დგომით უფრო ლამაზ ქვეყანაში, უფრო ლამაზ მუნიციპალიტეტში ვიცხოვრებთ.“

საქართველოს პირველობა კიუდოში



გვ.2



გვ.3

ეროვნული ბიბლიოთეკა ზემო მარხაანის სკოლას დაეხმარა

დავით- ბარძის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაცია დაიწყო

გვ.2

დედამიწის ეველასე ცხელი ადგილი ევაველებით დაიფარა



გვ.2

„თეთრი სიის“ ახალი წესი 1 მარტიდან ამოქმედდება

მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს უწინდებით შანსი შესყიდვების მონაწილეობა „თეთრი სიაში“ აღმოჩნდნენ. თეთრი სიის წარმოების ახალი წესი 1 მარტიდან ამოქმედდება.

დღემდე არსებული წესის მიხედვით, იმისათვის, რომ მენარმე სუბიექტი მოხვედრილიყო „თეთრი სიაში“, სხვა მოთხოვნებთან ერთად, მას უნდა ჰქონოდა არანაკლებ 1 მლნ ლარის ბრუნვა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში.

როგორც შესყიდვების სააგენტოში აცხადებენ, სააგენტოს მიერ ამ კუთხით ჩატარებული კვლევების მიხედვით, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ფიქსირდება არაერთი მენარმე, რომლებსაც არ გააჩნიათ ზემოთ მითითებული ბრუნვა, თუმცა წლების განმავლობაში, ყოველგვარი შეფერხებისა და ჩავარდნების გარეშე, კეთილსინდისიერად ასრულებენ სახელმწიფო შესყიდვის მესახებ ხელშეკრულებებს.

შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ, ზოგადად, „თეთრი სია“ წარმოადგენს ერთგვარ „სანდოობის რეესტრს“ და ასეთი ნდობის მოსაპოვებლად მხოლოდ ბრუნვა არ შეიძლება იყოს ერთადერთი კრიტერიუმი, შემოიღეს ახალი კრიტერიუმი, რომლის თანახმადაც, „თეთრი სიაში“ შეიძლება დაერეგისტრირდეს მიმწოდებელი, რომელსაც უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჯეროვნად აქვს შესრულებული სახელმწიფო კონტრაქტები.

ახალი კრიტერიუმის მიხედვით, ერთი მილიონი ლარის ბრუნვა რჩება. ამას გარდა, კომპანიას სამი წლის განმავლობაში 30 შესრულებული ხელშეკრულება უნდა ჰქონდეს, მათ შორის, წლის განმავლობაში მინიმუმ 10, რათა მათი აქტივობა ჩანდეს. წარმატებით შესრულებული 30 ხელშეკრულება უკვე მცირე მენარმეებსაც აძლევს საშუალებას 000 ლარის ხელშეკრულებითაც მოხვდნენ „თეთრი სიაში“.

რა პრივილეგიას ანიჭებს „თეთრი სიაში“ ყოფნა კომპანიას?

როგორც შესყიდვების სააგენტოში აცხადებენ, გარდა იმისა, რომ ეს კომპანიები წარმატებულთა სიაში იქნებიან, მათ საშუალება ეძლევათ, ხელშეკრულების შესრულებისთვის გარანტიის ნახევარი ნარაღიონი, ანუ მათ ბანკებთან ურთიერთობა უფრო გაუადვილებათ და ის საპროცენტო განაკვეთი, რომელსაც ბანკები და სადაზღვევო კომპანიები ართმევენ მათ ამ გარანტიის გაცემაში, განახევრდება.

ასევე, თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში ავანსი იქნება გათვალისწინებული, მათ შეუძლიათ ავანსის ნახევარი გარანტია წარადგინონ. ესეც შედეგია, თუ დაეთვლით სახელმწიფო შესყიდვებში წლის განმავლობაში მათი მონაწილეობის ოდენობას და შემდეგ დავთვლით იმ სარგებელს, რასაც ბანკებთან ურთიერთობაში ამ საპროცენტო განაკვეთიდან მიიღებენ. ეს საკმაოდ სოლიდური თანხებია, განსაკუთრებით, როდესაც საქმე მილიონებს ეხება.

ამიტომ ხელისუფლებაში იმედოვნებენ, რომ წესების შეცვლა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების მიერ დადებითად იქნება აღქმული.

დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაცია დაიწყო

დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაცია უტარდება. პროექტის ფარგლებში მოპირკეთდება და კეთილმოეწყობა კომპლექსში მდებარე კელიების ფასადები, მოეწყობა წყლის, კანალიზაციისა და ელექტრო-მომარაგების ქსელი, გაკეთდება ვიზიტორთა ცენტრი და ავტოსადგომი. მოეწყობა მონასტრის მიმდებარე ტერიტორია.

პროექტის ღირებულება 1 მილიონი ლარია. სამუშაოებს მუნიციპალური განვითარების ფონდი, მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოები დღეს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა, ჯუანმერ ბურჩულაძემ დაათვალიერა. მისი განცხადებით, პროექტის მიზანია, წვლილი შეიტანოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნებაში და ხელი შეუწყოს საქართველოში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას.

სპეციალური მაკონტროლებელი სამსახური მალე შეიქმნება


სპეციალური სამსახური, რომელიც სამინისტროებისა თუ სააგენტოების მიერ პროექტების შესრულებას გააკონტროლებს, უახლოეს დღეებში შეიქმნება.

შესაბამისი განცხადება პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის ადმინისტრაციაში, ინვესტორთა საბჭოს სხდომაზე გააკეთა.

მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული სამსახური მმართველობის რეფორმის ფარგლებში ამოქმედდება და ის პრემიერ-მინისტრის აპარატთან შეიქმნება.

„დღის წესრიგში გათვალისწინებულია მმართველობის ამომწურავი რეფორმაც, რომელიც მთავრობის ერთიანი ფორნტ-ოფისის შექმნას გულისხმობს. ეს ოფისი ერთი ფანჯრის პრინციპით მოემსახურება იურიდიულ და ფიზიკურ პირებს. ეს არის ყოველსომომცველი რეფორმა. მომდევნო დღეებში პრემიერ-მინისტრის აპარატთან ჩვენ შევექმნით სპეციალურ სამსახურს, რომელიც გააკონტროლებს სხვადასხვა სამინისტროსა თუ სააგენტოს მიერ პროექტების შესრულებას“, - განაცხადა კვირიკაშვილმა.

საქართველოს ზირველობა მიუდომა



თბილისში დასრულდა საქართველოს პირველობა ძიუდოში ჭაბუკთა შორის. გვასახელეს ჩვენი მუნიციპალიტეტის ნარგ-ზავნილბმა. 16 წლის ლაშა ბე-ქაურმა არხილოსკალოდან, 60 კგ, ნონით კატეგორიაში ტოლი არა-ვის დაუდო და პირველი ადგილი და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა,

ხოლო გიორგი თინაშვილი, ასევე არხილოსკალოდან, 50 კგ. ნონით კატეგორიაში მესამე ადგილის მფლობელი გახდა.

სასიხარულოა, რომ ორივე ძიუდოისტი, რომელთაც კახა ნიკოლაური ავარჯიშებთ, საქართველოს ნაკრებში აიყვანეს. ზაფხულში, უკვე ახალ ამპლუაში, ბიჭებს ანტალიაში მოუწევთ საერთაშორისო ტურნირზე გამგზავნება.

წარმატებები და ახალ-ახალი გამარჯვებები ვუსურვოთ ჩვენს ძიუდოისტებს.

დედამიწის ყველაზე ცხელი ადგილი ყვავილებით დაიფარა

დედამიწის ყველაზე ცხელ ნერტილად მიჩნეული ადგილი, კალიფორნიის შტატში მდებარე ხეობის ტიპის უდაბნო „სიკვიდლის ველი“, რამდენიმე დღის წინ ყვითელი და ვარდისფერი ყვავილებით დაიფარა. პარკის რეინჯერთა განცხადებით, ამის მიზეზი შემოდგომაზე, გასული წლის ოქტომბერში მოსული ძლიერი წვიმაა, რაც ამ ადგილისთვის უიშვიათესი შემთხვევაა.

1913 წლის 10 ივლისს, „სიკვიდლის ველზე“ დაფიქსირდა ყველაზე მაღალი ტემპერატურა დედამიწაზე +56,7 გრადუსი ცელსუსით. აღსანიშნავია, რომ ეს ხეობა ჩრდილოეთ ამერიკის ყველაზე დაბალი ადგილია და ზღვის დონიდან 85 მეტრით დაბლა მდებარეობს. მსოფლიოს ყველაზე დაბალ ადგილებს შორის ის მერვე ადგილს იკავებს.

ყვავილები „სიკვიდლის ველისთვის“ მართლაც გასაოცარი შემთხვევაა, ეს უდაბნო ჩრდილოეთ ამერიკის ყველაზე მშრალი ადგილიცაა. თუმცა, გასული წლის ოქტომბერში, ველზე ამ ადგილისათვის უპრეცედენტო რაოდენობის ნალექი მოვიდა, 1 1/2 ინჩი, როდესაც როგორც წესი, წლის მანძილზე საშუალოდ 2 ინჩი ნალექი მოდის.

გალა-კონცერტი წარმატებულ სკოლებს მიემდგვნა

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მნიგნობართა ასოციაციის საპატიო თავმჯდომარის, ვანო ნაკროშვილის პატრონაჟით, 26 იანვარს, გაიმართა ვია „გვირილას“ საიუბილეო გალა-კონცერტი (სამხატვრო ხელმძღვანელი-ერნა ნიფურიანი).

გალა-კონცერტი სპეციალური მონაწილეობდნენ შოპენის სახელობის ნორჩ პიანისტთა მეოთხე კონკურსის ლაურეატი სანდრო გეგეჭკორი (პედაგოგი- ასოცირებული პროფესორი- ალექსანდრე გარბერი) და გიორგი გიგაშვილი (პედაგოგი-ემერიტუსი- რევაზ თავაძე). გალა-კონცერტი მიემდგვნა საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად, გარდამავალ პერიოდში, გამოვლენილ საუკეთესო სკოლების დირექტორებს, ღირსების ორდენის კავალრებს-ნანა მერაბიშვილსა და სვეტლანა შალვაშვილს, დედოფლისწყაროს პირველ და სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლებს, რომლის დირექტორები არიან ეთერ ოთარაშვილი და ნელი საბაიშვილი-ავცილაური. ამის შესახებ ვრცელი ინფორმაციები დაიბეჭდა გაზეთ „შირაქში“ და „საქართველოს ლირიკაში“.

პროექტის ინიციატორი და ორგანიზატორი ცხატოთ დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მნიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარის მრადგილე ნანა ჭიჭინაძე, პროექტის მხარდამჭერი-დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანაშვილი.

ვია „გვირილას“ ნორჩ

ვოკალისტებს დამსწრე საზოგადოება ხანგრძლივი აპლოდისმენტებით აჯილდოვებდა. უდიდესი ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭეს მსმენელებს სანდრო გეგეჭკორის და გიორგი გიგაშვილის მიერ შესრულებულმა ფრიდრიხ შოპენის, რევაზ ლალიძისა და ვაჟა აზარაშვილის საფორტეპიანო ნაწარმოებებმა.

სიურპრიზი იყო „საუკუნის ლეგენდის“- მედეა ამირანაშვილის ქალიშვილის, მარინა ფარულავას მიერ როიალზე აჟღერებული სულხან ცინცაძის მუსიკა კინოფილმიდან „ჭრიჭინა“. ფილმში „ჭრიჭინა“ სიმღერას მედეა ამირანაშვილი ასრულებს.

დედოფლისწყაროს გამო დედოფლისწყაროს პირველი და ხორნაბუჯის საჯარო სკოლებიდან ვერ ჩამოვიდნენ სკოლის დირექტორები და წამყვანი პედაგოგები, ვისთვისაც მოეწყო ეს ბრწყინვალე საღამო, მაგრამ პედაგოგების ნაწილმა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის განათლების მუშაკთა პროფკავშირების თავმჯდომარემ მაყვალა მაძლარაშვილმა მაინც მოახერხეს ჩამოსვლა. წარმატებული სკოლების სახელით, ქალბატონმა მაყვალამ მადლიერება გამოხატა პროექტის ორგანიზატორის, ნანა ჭიჭინაძის მიმართ და აღნიშნა: „გასული წლის აპრილში ქალბატონმა ნანამ, ხელოვნების სკოლაში საზეიმო შეხვედრა მოუწყო დედოფლისწყაროს პირველ და სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლებს, მათ პატივსაცემად მოიწვია კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტის სტუდენტები, პედაგოგ დოდო დიასამიძის და კომპოზიტორ ნანა

მიქაბერიძის ხელმძღვანელობით. დღეს ეროვნულ ბიბლიოთეკაში, კვლავ მათ პატივსაცემად, ბრწყინვალე გალაკონცერტი გაიმართა. ჩემთვის დიდი პატივი იყო, პირადად შევხვედროდი საქართველოს სახალხო მხატვარს, შოთა რუსთაველის და დავით კაკაბაძის პრემიის ლაურეატს, თბილისის საპატიო მოქალაქეს, სამხატვრო აკადემიის პროფესორს, „მეტრის“ ნომინანტს, ხელოვნების რაინდის ნოდების მფლობელს, ბატონ გივი თოიძეს. კომპოზიტორს, რუსთაველის, ფალიაშვილის, გუგუაშვილის პრემიების ლაურეატს, საერთაშორისო კონკურსების პირველი პრემიის ლაურეატს, პროფესორს, თბილისის, ბორჯომის, ახალციხის, ხობის საპატიო მოქალაქეს, „მეტრის“ ნომინანტს, ხელოვნების რაინდის ნოდების მფლობელს, საქართველოს სახალხო არტისტს, ბატონ ვაჟა აზარაშვილს. ქართული ცეკვის გენიას, საქართველოს სახალხო არტისტს, ეროვნული პრემიის ლაურეატს, ქართული კულტურის რაინდის ნოდების მფლობელს, ბატონ ომარ მხეიძეს, ცნობილ პოეტებს-ნანა ცინცაძეს და ნანი საბანაძეს. ოპერის კამკაშა ვარსკვლავს „საუკუნის ლეგენდის“ ნომინანტს, ხე-



ლოვნების ქურუმის მფლობელს, საბჭოთა კავშირის და საქართველოს სახალხო არტისტს, ფალიაშვილის პრემიის ლაურეატს, ქალბატონ მედეა ამირანაშვილს, ასევე კონსერვატორიის პროფესორებს-ალექსანდრე გარბერს და რევაზ თავაძეს.

ნანა ჭიჭინაძის მიმართ არაერთხელ გაისმა საქებარი სიტყვები. გივი თოიძემ აღნიშნა: „ქალბატონმა ნანამ ტრადიციად აქცია ყოველწლიურად სხვადასხვა სფეროში ნომინანტების გამოვლენა და მათ პატივსაცემად ბრწყინვალე გალა-კონცერტის გამართვა, დღევანდელი საღამოც ხომ ამის დასტურია. დედოფლისწყაროდან იწყება ახალი წელი, ეს ამ საღამომ ნათლად დაგვანახა. დიდი ხანია არ მომსმენია ბავშვების წკრიალა ხმები, ეს ანგელოზები ქართული სიმღერების უზადლო შემსრულებლები არიან, ქალბატონმა ერნა ნაზი ფერიებით მოგვწუხა...ეს ჩვენი ხვალის-

დელი დღეა, ჩვენი მომავალი!“ ვაჟა აზარაშვილის გულში ჩამწვდომი მუსიკა კინოფილმიდან „მზე შემოდგომისა“ შემოგვთავაზა ნიჭიერმა კომპოზიტორმა გოგი შავერზაშვილმა. თავად ბატონმა ვაჟამ ჩვეული მომხიბვლელობით შეასრულა რამდენიმე ცნობილი სიმღერა როიალზე.

პროექტის ორგანიზატორმა ნანა ჭიჭინაძემ უღრმესი მადლობა გადაუხადა კონცერტის ყველა მონაწილეს, დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისთვის და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კულტურული პროგრამების განყოფილების თითოეულ თანამშრომელს, გენერალურ დირექტორს გიორგი კეკელიძეს, ნორჩ თაობას რომ დაუთმეს დარბაზი და თავიანთი მოკრძალებული შემოქმედების ფართო აუდიტორიისთვის გაცნობის შესაძლებლობა მისცეს.

მარიკა პოპიაშვილი

სოციალური კარადა-ბაჭირვებულთა დასახმარებლად

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საკრებულოს ორგანიზებით ხორციელდება პროექტი "სოციალური კარადა", ლოზუნგით - "ვისაც გაქვთ, გაიღეთ, ვისაც

არა - აიღეთ". პროექტს შეუერთდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენ-

ლები. სოციალური კარადა სათნოების სახლში განთავსდება და მსურველებს შეეუძლიათ ტანსაცმელი მიიტანონ.

„სოციალური კარადას“ გაკეთება ახალგაზრდული საკრებულოს იდეა იყო. იდეა მოგვენახა, გამგეობა ამ ბავშვებს დაეხმარა, გამოეყავით ადგილი, სადაც ჩვენი მოქალაქეები შეძლებდნენ ტანსაცმლის მოტანას სოციალურად დაუცველთათვის. ამ იდეის შესახებ როდესაც შევიტყვე, აღვფრთოვანიდი. შევიკრიბეთ გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლები, მოვიტანეთ ტანსაცმელი. დიდი იმედი მაქვს, როდესაც ჩვენი მოსახლეობის ფართო ფენა გაიგებს ამ იდეის შესახებ, გაცილებით მეტი ადამიანი ჩაერთვება აქციაში. ასე ერთმანეთის გვერდში დგომით უფრო ლამაზ ქვეყანაში, უფრო



ლამაზ მუნიციპალიტეტში ვიცხოვრებთ.

სიკეთე ზოგადად გადამდებია და დარწმუნებული ვარ, რომ მსგავსი ტიპის აქციები სხვა უფრო კარგ იდეებს და-

ბადებს და ასე ერთიანობით შევძლებთ იმას, რომ ხვალისი იყოს, ვიდრე დღევანდელი“, - განაცხადა ნიკოლოზ ჯანიშვილმა.



ეროვნული ბიბლიოთეკა ზემო მარხაანის სკოლას დაეხმარა

გასულ კვირას საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლები დირექტორთან, გიორგი კეკელიძესთან ერთად დედოფლისწყაროს სოფელ ზემო მარხაანს ეწვივნენ. მათ სკოლის ბიბლიოთეკას საჩუქრად წიგნები გადასცეს. როგორც გიორგი კეკელიძემ გაზეთ „მი-

თანამშრომლობას გულისხმობს და ასევე მჭიდრო თანამშრომლობას მოითხოვს მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ხელისუფლებასთან. ამ მიზნით ვენციეთ ზემო მარხაანის სკოლას და ჩვენი წვლილი შეიტანეთ მის აღდგენაში. გვინდა განადგურებული წიგნადი ფონდის აღდგენაში დავეხმაროთ

დაზარალებულმა მასპინძლებმა კარგად მიგვიღეს, ქართული სტუმართმოყვარეობით დაგვხვდნენ, მაშინვე დავალაგეთ და შევავსეთ თაროები. ლამით დედოფლისწყაროში დავრჩით და ელას მითის მონახულებაც მოვახერხეთ.“ - აღნიშნავს ვლადიმერ კიკლაშვილი, ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების,

ბიბლიოთეკის გვერდში დგომით ჩვენი ფონდი გაუმჯობესდა და თაროები ცარიელი აღარ არის.

ამასწინათ, ზემო ქედის სკოლაც დაგვეხმარა და წიგნები გადმოგვცა. ასევე შედაგოვთა პროფკავშირის დედოფლისწყაროს ორგანიზაციის თაოსნობით ადგილობრივი პედაგოგები ყველა სკოლაში აგრძელებენ წიგნების შეგროვებას, რათა ჩვენ გადმოგვცენ. ენციკლოპედიები გვიჭირს, განსხვავებული ლიტერატურის დეფიციტი გვაქვს, მაგრამ იმედინად ვართ, რომ უკეთესობა იქნება. კულტურის სახლის შენობაში სოფლის ბიბლიოთეკაც მოქმედებს, მაგრამ მდებარეობის გამო ვერც აქამდე ვახერხებდით მათი ფონდით სარგებლობას. თუმცა, ამჯერად კლასების ნაწილი იმავე შენობაში განვავსეთ და ისინი მოახერხებენ. ამჯერად ჩვენთვის უდიდესი პრობლემა ისაა, რომ კომპიუტერები არ გვაქვს და ბავშვები საატესტატო გამოცდებისთვის მომზადებას ვერ ახერხებენ. არადა, გასულ წლებში მეზობელი სოფლებიდანაც ჩვენთან მოდიოდნენ. დღე და ღამ ამაზე ვფიქრობთ, ეს პრობლემა როგორ გადავჭრათ.“

დაგვრჩა. ძალიან გახარებული ვარ და დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ეროვნულ ბიბლიოთეკას. იმედი მაქვს ისინი სამომავლოდაც აქტიურად ითანამშრომლებენ ჩვენთან და ნაწილობრივ მაინც შევძლებთ ფონდის შევსებას.“ - ამბობს სკოლის ბიბლიოთეკარი ლალი გოგილაშვილი.

რაც შეეხება სოფლის ბიბლიოთეკის მდგომარეობას, დედოფლისწყაროს საბიბლიოთეკო გაერთიანებაში ამბობენ, რომ, ზემო მარხაანში 14 000-ზე მეტი წიგნია და ფონდს ადგილობრივი ეთერ სიფრაშვილი იცავს. ბიბლიოთეკა ახლანაშენი კომპიუტერული ტექნიკით აღიჭურვა. მანანა მაჭარაშვილის განმარტებით, საბიბლიოთეკო ასოციაციამ კომპიუტერები შეიძინა ზემო მარხაანის, მირზაანის, არბოშის, ხორნაბუჯის, ზემო ქედის, არხილოსკალოს და სამთაწყაროს ბიბლიოთეკებისთვის. კომპიუტერები დედოფლისწყაროში თავად საბიბლიოთეკო ასოციაციის ხელმძღვანელმა რუსუდან ასათიანმა ჩამოიტანა. ხოლო დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრმა მათი ინტერნეტით უზრუნველყოფა მოახდინა.



რაქს“ განუცხადა, ეროვნული ბიბლიოთეკა პროექტ „ეკვილიბრუმის“ ფარგლებში ერთგვარ მოძრაობას აგრძელებს, რომელიც სხვადასხვა სოფლებში გაუქმებული ბიბლიოთეკების აღდგენას გულისხმობს. ზემო მარხაანში სტუმრობის იდეა კი ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილეს, ვლადიმერ კიკლაშვილს ეკუთვნის.

და ვიმედოვნებ, რომ მომავალშიც მოქალაქეთა თანადგომით, სხვადასხვა შემონირულობების ხარჯზე კიდევ შეგვეძლება გვერდში დავუდგეთ ხანძრისას დაზარალებულ სკოლას. ასევე, ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ სულ მალე მარხაანის სკოლის ბიბლიოთეკის აღდგენა-რეაბილიტაცია მოხდება და შესაბამის ფორმამი ჩადგება“.

გი კეკელიძეს ბიბლიოთეკას, დაგვიდგნენ და ნები მოგვიტანეს. ჩვენს სკოლას ახლა წიგნი ჰყავს, რადგან 13 000-ზე მეტი წიგნი გვექონდა, რომელიც ხანძრის შედეგად სრულად განადგურდა. ჩემმა ქიზიყელმა მეგობრებმა გვთხოვეს დახმარება. რადგან წლის ბოლო იყო და შემდეგ დღესასწაულები დაემთხვა, პროცესი ცოტა გაჭიანურდა. დროულად ვერ დავგვემეთ, თუმცა იანვრის ბოლოს უკვე დავიწყეთ ფიქრი, რომ გვერდით დავდგომოდით ამ სკოლას. შევავაროვეთ წიგნები და მარხაანში გავემგზავრეთ.

„გასული წლის დეკემბერში შევიტყვეთ, რომ დედოფლისწყაროში ზემო მარხაანის სკოლა დაინვა და ბიბლიოთეკა სრულად განადგურდა. ჩემმა ქიზიყელმა მეგობრებმა გვთხოვეს დახმარება. რადგან წლის ბოლო იყო და შემდეგ დღესასწაულები დაემთხვა, პროცესი ცოტა გაჭიანურდა. დროულად ვერ დავგვემეთ, თუმცა იანვრის ბოლოს უკვე დავიწყეთ ფიქრი, რომ გვერდით დავდგომოდით ამ სკოლას. შევავაროვეთ წიგნები და მარხაანში გავემგზავრეთ.“

„გასული წლის დეკემბერში შევიტყვეთ, რომ დედოფლისწყაროში ზემო მარხაანის სკოლა დაინვა და ბიბლიოთეკა სრულად განადგურდა. ჩემმა ქიზიყელმა მეგობრებმა გვთხოვეს დახმარება. რადგან წლის ბოლო იყო და შემდეგ დღესასწაულები დაემთხვა, პროცესი ცოტა გაჭიანურდა. დროულად ვერ დავგვემეთ, თუმცა იანვრის ბოლოს უკვე დავიწყეთ ფიქრი, რომ გვერდით დავდგომოდით ამ სკოლას. შევავაროვეთ წიგნები და მარხაანში გავემგზავრეთ.“



ილია მარტყოფიშვილი

გუზინდელი დღით კაყოფილი ადამიანი მოგვალს პირ ააუხენებს


დასაწყისშივე გაგიმხვლოთ, რომ დღეს ჩვენი ნარკვევის გმირი იუბილარი ჯამალ კანაქი-ლაშვილი გახლავთ, მას იანვრის თვეში 75 წელი შეუსრულდა. მამა – ილია კვანჭილაშვილი მეცხვარე კაცი იყო და ხანდაზმულობამდე ვერ შეეღობა ამ რთულსა და მძიმე საქმეს; დედა – სირანა ფიროსმანაშვილი, რომელიც წარმოშობით სოფელი გამარჯვებიდან გახლდათ, კოლმეურნეობაში მუშობდა. მემინდვრობის ბრიგადაში ირიცხებოდა და, მიუხედავად იმისა, რომ ხუთი შვილის დედა იყო, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საკოლმეურნეო დოვლათის შექმნაში. ბატონი ჯემალი, ორი დის და ორი ძმის შემდეგ, ყველაზე ნაბოლარა იყო და, დედის კალთას გამოკერებული, ბავშვობის დაუფიქრებელი დღეებს მასთან ერთად მინდორში ატარებდა.

– მამინ ხალხი თვეობით რჩებოდა მინდორებში და იქ ერთმანეთზე მიჯრით ჩამოკრებივლ ქობებში ცხოვრობდა. პურსაც იქ აცხობდნენ, თავსაც იქ იბანდნენ, სარეცხსაც იქ რეცხავდნენ... უაღრესად რთული იყო ცხოვრება, მაგრამ ხალხი მაინც ხალისობდა. საღამოთი, დაბინდებულზე რომ შეიკრიბებოდნენ, გააჩაღებდნენ ლხინს, ცეკვავდნენ, მღეროდნენ, შაირობდნენ, თავგადასავლებს ყვებოდნენ. ერთი სიტყვით, მცირედითაც კმაყოფილი იყვნენ და თავს ბედნიერად გრძობდნენ. ახლა მეტმა სიხარბემ დაგვრია ხელი, ჩვეტილები და ბოლმიანები გავხდით. მიზეზს ვერ ავხსნი, ცხოვრებამ მოიტანა- იხსენებს ბავშვობას ბატონი ჯემალი.

მერე წითელწყაროს ქართულ საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდი მოჰყვა. რვა კლასის დამთავრების შემდეგ ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში აგრონომიულ ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა და 1964 წელს მემინდვრობის აგროტექნიკოსის დიპლომით წითელწყაროს ორჯონიძის სახელობის კოლმეურნეობას მიაშურა. ჯერ შრომის აღმრიცხველობა მიანდეს, მერე მეტოხტეობის ბრიგადა ჩააბარეს. აქედან მეტყვევებელიორატორად დაინიშნა და მეტად საპასუხისმგებლო დავალება მისცეს – ქარსაფარი ზოლების გაშენება და მისი მოვლა-გახარება იყო მათი ამოცანა.

– დიდი შრომა და ენერჯია ჩავდეთ ქარსაფარი ზოლების გაშენებაში, რადგან ქარსაფარის დანიშნულება ძალიან დიდია მოსავლიანობის გაზრდის საქმეში. ის ნათესებს იცავს ქარსაფარს, ქარსმიერი ეროზიასა და გამოფიტვისგან კი- მინას, ხელს უწყობს თოვლის საფარის მდგრადობას, რაც მნიშვნელოვანია ნიადაგის ტენიანობის თანაბარი შენარჩუნებისათვის. დიდი დანაშაულია ქარსაფარი ზოლების ასეთი განადგურება, რომელსაც სხვას ვერ დავაბრალებთ, ჩვენივე ბრალია. ჯერ იყო და, სადაც კი ერთი მემინდვრობის და სატრაქტორო ბრიგადის ბინები იყო, მესაქონლეობის ფერმები გავხსენით. ვიქირავეთ უცხო ხალხი, მივაგდეთ უპატრონოდ და... მათ გაჩეხეს სწორედ ქარსაფარებში ის ათწლოვანი ხეები და ლუმელში შეუკეთეს. ამასთან, მომრავლდა საქონელი ისეთ ადგილებში, სადაც საძოვარი არ არის. შირაქში ფერმას რა უნდა?! იქ მხოლოდ სახანავათესი ფართობები და ქარსაფა-

რია! ჰოდა, ეს ამოდენა საქონელი ანადგურებს ქარსაფარში ახლადმოყრილ ყლორტსა და ნათესს. გაჭირვებული ხალხი ძლივს ახერხებს ნვლებით მოხნას და დათესოს და აზერბაიჯანელი მწყემსების საქონლის გამოსაკვებად?! მათ ბევრი ქართველი მეპატრონისგან საკუთრებაში შეიძინეს ეგრეთწოდებული ფერმები და არაფრად დაგიდევნენ ჩვენი გლეხების შრომას: – საქონელს ნათესებში უშვებენ და გზის შესამოკლებლად ზედ ნათესზე გადადიან მანქანებით და თელავენ ნათესს. წლე-



ბა, ხალხი ამაზე ლაპარაკობს და ჩივის, მაგრამ ვერა და ვერ მოვიდა ისეთი მთავრობა, სამართლიან დაამყაროს – იქ, სადაც საძოვარი არ არის, არც საქონელი არ უნდა იყოს! ნანვერალზე უკონტროლოდ ნამჯის გადაწვა, მიუხედავად მისი ტექნოლოგიური უგულვებელყოფისა, მაინც კვლავ ხდება, რაც ხშირი ხანძრების მიზეზია. ესეც ასაკრძალია. ჩემი აზრით, თითოეულმა ფერმერმა, ვისაც მეტი ეკონომიური საშუალება აქვს, თითო-ნაც უნდა იზრუნოს ქარსაფარის გაშენებაზე. მე, მაგალითად, ვფიქრობ, გავაშენო ქარსაფარი და მონაცვლეობით მსკრივში გავახარო აკაცის და მურაკის ნერგები. მურაკი ჯაგია, აკაცია მაღალი ხე, ისინი ერთმანეთს კარგად შეავსებენ და ნათესის ქარსაფარს დაცვა სრულყოფილად მოხდება – ამბობს ბატონი ჯემალი. **ცნობისთვის:** ბატონი ჯემალს სახანავ-სათესის მიწები ბევრი აქვს, მაგრამ ფერმა-არცერთი. ამიტომ ამ ცოდვაში მას წილი არ უდევს.

კომუნისტურ პარტიაში შესვლა იმ დროს დიდი პატივი იყო და ეს პატივი ჯემალსაც ერგო. შრომისმოყვარე ახალგაზრდა პარტიის წევრიც გახდა და უმაღლესი განათლების მიღებაც გადაწყვიტა. თბილისის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში აგრონომიული ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე ჩარიცხა. იმის გამო, რომ დაუსწრებელი სწავლება სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან არ ათავისუფლებდა სტუდენტს, ის ჯარში გაიწვიეს.

– თურქმენეთში, ქალაქ კიზილარვატის სამხედრო ბატალიონში მოეხვედო. როგორც პარტიულს, ავტოკოლონის გამტეობა დამევალა. 40 სატვირთო მანქანა მებარა. აეროპორტებს ვაშენებდით. ძალიან მძიმე კლიმატი იყო. ზამთარი მკაცრი, ზაფხული კი ცხელი, ქარი რომ დაინწყოდა, ქვიშა ჰაერში ტრიალებდა და აუტანელი იყო. ჩემი ქვეყანა მენატრებოდა. მამინ მივხვდი, მართლაც რა ღვთის სამოთხე

გვაქვს ნანყალობები ქართველებს. ორწელიწადნახევარი ვიყავი ჯარში. იქიდან დაბრუნებულმა ისევ ჩემს კოლმეურნეობას მივაშურე. მემინდვრობის აგრონომად დამნიშნეს, რამდენიმე წელში სოფლის მეურნეობის რაიონულ სამმართველოში გადამიყვანეს მთავარ აგრონომად. 12 წელი ვიმუშავე, 3 წელი კი სამმართველოს უფროსი ვიყავი, შალვა თეთვაძე შევცვალე. კოლმეურნეობები რომ დაიშალა, თელავში გარემოს დაცვის სამმართველოში გადავედი სამუშაოდ. დედოფლისწყაროს განყოფილებას ვხელმძღვანელობდი, 12 წელიც იქ გავატარე. ახლა საკუთარ მეურნეობას ვუძღვები. მთელი ჩემი ცხოვრება მინდორში გავატარე ბავშვობიდან დღემდე. ალბათ სუფთა ჰაერზე ყოფნამ განაპირობა ჩემი ჯანმრთელობა. არაფერი მტკივა, ცხოვრებაში ერთი ტაბლეტი არ დამიღვია. ალკოჰოლიანი სასმელსაც ვერიდები. ახალგაზრდებს ვურჩევ, ჯანსაღი ცხოვრების წესით იცხოვრონ – გვიყვება ბატონი ჯემალი.

ჩვენს შეკითხვას იმის თაობაზე, **თუ რა პროცენტები განვითარდა კოლმეურნეობების დამოსაშენებელი და დადებითი და უარყოფითი მოვლენები მოჰყვა მას**, ბატონი ჯემალი გვპასუხობს:

– კოლმეურნეობა გამორჩეული ფენომენი გახლდათ, ის მასიური დასაქმების და მატერიალური უზრუნველყოფის გარანტი იყო. მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობის ქონებაზე „ხელს ითბობდა“ ყველა, კოლმეურნეც, ბრიგადირიც, თავმჯდომარეც, ძალიან სტრუქტურები და პარტიული მუშაკებიც, ბარაქა მაინც ეტყობოდა ხალხს, სოფელი ღონიერი და მძღარი იყო. ერთი მხრივ თუ შევხედავთ, მისი დამლა ნამდებია იყო, რადგან აქ დასაქმებული ხალხი უმუშევარი დარჩა. მართალია, ყველა კოლმეურნეს 1.25 ჰექტარი მიწა დაურიგდა და მუშა-მოსამსახურეებსაც 0,25-დან 0,75 ჰექტარამდე მიწა პრივატიზებით საკუთრებაში გადაეცათ, ამან ეფექტი მაინც ვერ მოიტანა. გაძნელდა ამ წერილ-წერილი მიწების დამუშავება, ბევრმა უკუგების სიმცირის გამო მიატოვა კიდეც და გაველურდა მიწა. ძირითადი მწარმოებელი ის მსხვილი ფერმერები დარჩნენ, ვისაც ათობით და უფრო მეტი ფართობი ერგოთ ჯერ გრძელვადიანი იჯარით განპირობებული და მერე სახელმწიფოსაგან გამოსყიდვის უფლების მინიჭებით საკუთრებად დაკანონებული. ერთი სიტყვით, ქონება გაიბნა, დანაწევრდა და ეფექტიც დაიკარგა. იქნებ ჯობდა, მიწები სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილიყო და კვლავინდებურად მთავრობას მიეხედა მისთვის, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, საკუთრების მხოლოდ ერთმა სახელმწიფოებრივმა ფორმამ კონკურენტული გარემო ვერ შექმნა. გვახსოვს, როგორი ფორმალური გახდა სოციალისტური შეჯიბრებები, როგორ „იქმნებოდა“ ის განმარჯვებული და შთამბეჭდავი „მიღწევები“, რომლის საფუძველზეც „სოციალისტური შრომის გმირის“ ნოდებას ანიჭებდნენ

ადამიანებს. თუმცა, სახელმწიფო ქონების ერთბაშად კერძო საკუთრებაში გადაცემაც, ვფიქრობ, გონივრული არ იყო. არც გარემო და არც ხალხი ამისთვის მზად არ იყო. მასები გავლარობდნენ, ერთეულები გამდიდრდნენ. მე მგონია, მთავრობა გვიან, მაგრამ მაინც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კოლექტიური სამეურნეო საქმიანობა უფრო ეფექტურია და ამიტომ, უკვე ორი-სამი წელია, კოოპერატივების შექმნაზე აიღო ორიენტაცია. თუმცა, ამან ჯეროვანი განვითარება ვერ ჰპოვა. ამასაც აქვს თავისი ახსნა: – იმას, ვისაც დიდი რაოდენობით სახანავ-სათესი ან ფერმერული მეურნეობა აქვს, თავისი საქმიანობა და საზრუნავით არის დაკავებული, წერილი მიწების მეპატრონეები კი, წელში განწყვეტილები არიან და შეშინებულები ვერ ბედავენ ხელი მოჰკიდონ კოოპერატივის შექმნას. მე ხშირად მიფიქრია კოოპერატივის შექმნაზე, მაგრამ... ასაკი მაქვს და, მიუხედავად ჯანმრთელობისა, ვერ ვრისკავ, არ მინდა, იმედი გავუცრუო ადამიანებს. ვფიქრობ, კოოპერატივებს მთავრობამ უფრო მეტი შეღავათები უნდა მისცეს, რომ ეს საქმე ადგილიდან დაიძრას. ძალიან ჭირს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ძველი, კომუნისტებისდროინდელი უკვე გაცვდა, მწყობრიდან გამოვიდა, სათადარიგო ნაწილებიც აღარ იშოვება. ახალი ტექნიკა, ხვნა-თესვის ახალ ტექნოლოგიებსა და მეთოდებთან ერთად, ბევრი შემოვიდა, თუმცა, ხელმისაწვდომობაა გაძნელებული. კარგია, რომ შეიქმნა, მაგალითად, „მექანიზატორი“, მაგრამ ინდენად ძვირია მომსახურების ნიხრები, რომ ხალხი ვერ სარგებლობს ამ სიკეთით. მე სულ ხალხში ვტრიალებ და კარგად ვიცი მათი აზრი ამა თუ იმ საკითხზე. მაგალითად, სამართლიანად მიმაჩნია პრეტენზიები, რომელსაც ისინი გამოთქვამენ „მექანიზატორის“ მიმართ. მაშინ, როცა შპს „მექანიზატორი“ შეიქმნა, დიზელის საწვავი 2 ლარი და 40 თეთრი ღირდა. ამიტომ, შესრულებული სამუშაოსთვის დაწესებული გადასახადიც მაღალი იყო, რადგან შიგ დახარული საწვავის ფასიც შედიოდა. ახლა, როცა დიზელის საწვავი 1 ლარი და 40 თეთრი გახდა, პრეისკურანტი არ შეცვლილა. ეს ხომ უსამართლობაა, ეს არ არის ზრუნვა სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის.

– **უკვე სამი წელია, სოფლის მეურნეობის სამინისტრო ათეულობით მილიონ ლარს ხარჯავს მცირემიწიანი გლეხების დაფინანსების კურსით. ყოველ გაზაფხულზე ეძლევათ მათ აგრობარათები. როგორ აფასებთ ამ შეღავათს?**

– არ მინდა ვინმემ იფიქროს, თითქოს კრიტიკულად ვარ განწყობილი ვინმეს მიმართ. არა, უბრალოდ, საქმესთან ძალიან ახლოს ვარ, ყველა ნიუანსი ვიცი და თუ გულწრფელად რაიმეს ვამბობ, რჩევის სახე ჰქონდეს, მინდა. კარგია, რომ მცირემიწიანებს ეხმარებიან, მაგრამ შედეგს რას ვაღწევთ, მთავარი ისაა. აგრობარათი, რომელიც გლეხს ეძლევა, მხოლოდ ხვნის ხარჯებს ითვალისწინებს. იმის გამო, რომ გლეხს არა აქვს ხარისხიანი სათესლე მასალა, თესვის, სასუქის, პერბიციდის, მკის ხარჯები, ის იძულებული ხდება, თავისი 140 ლარიანი აგრობარათი 80 და უკეთეს შემთხვევაში 100 ლარად მიჰყიდოს ფერმერებს. ხშირ შემთხვევაში მისი კუთვნილი მიწა კი ისევ დაუმუშავებელი რჩება. თავად განსაჯეთ, რა გამოდის

აქედან?! დაფუშვით, გაიჭირვა გლეხმა და ეს ერთი ჰექტარი მიწა ერთხელ როგორმე დაამუშავა. იქიდან მიღებული მოსავალი იმ რაოდენობისა არ იქნება, კვლავწარმოებაშიც რომ ჩადოს და ლუკმაც მაძღრისად ჭამოს მისმა ოჯახმა, რადგან სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასი ძალიან დაბალია, თვითღირებულებას იმდენად არ აღემატება, რომ ადამიანმა მოგებად ჩათვალოს ის. ასე რომ, თითქოს ჯადოსნურ წრეზე ვტრიალებთ და გამოსავალი ძნელად მოინახება. როგორც ზემოთაც ვთქვი, ამ მცირე მიწების „ნამალი“ კოოპერატივების განვითარება და მათთვის გამორჩეული ხელშეწყობა მგონია ჩემი დაკვირვებით. რაც შეეხება ზოგადად მარცვლეულის ფასებს, წარმოუდგენლად დაბალია, ჩვენს შრომას ფასი არ სდევს. არც შეღავათებს ითვალისწინებს და არც სუბსიდირებას.

– **ახლა როგორ სიტყვა თქვენს ოჯახზეც გვითხარით.**

– ჩემი მეუღლე იგული ნასრაშვილი მსუბუქი მრეწველობის ინჟინერი გახლავთ სპეციალობით. კომუნისტების დროს ადგილმრეწველობაში მუშაობდა. ოც წელზე მეტია, უმუშევარია. ორმოცდაათი წლისაც არ იყო, მისი სამსახური რომ დაუქმდა. სახლში ჯდომამ და ამაზე წერილები მომხმარებდა და დასავსე, ავადმყოფობს, წნევა და დაბეჭეტი აწუხებს. ორი ვაჟი გავზარდეთ – ილიკო და ლევანი. ილიკომ აგრონომიული ფაკულტეტი დაამთავრა. საკუთარ მეურნეობას და ბიზნესს აწარმოებს. ჰყავს მეუღლე შორენა ლვინიაშვილი. ის №1 საჯარო სკოლაში ექიმად მუშაობს. ორი ბიჭი ჰყავთ. დედოფლისწყაროში ცხოვრობენ და ხშირად ესტუმრობთ ერთმანეთს, რაც მე და ჩემს მეუღლეს ძალიან გვახარებს და სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს. ლევანმა ტექნიკური უნივერსიტეტი დაამთავრა, თბილისში ცხოვრობს და მელორეზის სამმართველოში მუშაობს. მისი მეუღლეც ჩვენებურია-რუსუდან ნატროშვილი. ერთი ბიჭი ჰყავთ. სიმართლე რომ გითხრათ, რძლები ძალიან „მაზრანებენ“. მე ბევრი შეილიშვილი მინდა, მათ კი... ეზარებათ, სხვა მხრივ კარგი გოგონები არიან, ზრდილები და ნესიერები, არ ვემდურ.

– **რას ეტყობით ჩვენს ახალგაზრდობას?**

– სოფლის მეურნეობა იმდენად ამოუწურავი თემაა თავისი მრავალნაზნაგოვანი პრობლემებით, საზრუნავით, რომ მასზე საუბარს ერთი წერილი კი არა, მთელი გაზეთიც არ ეყოფა. არადა, სწორედ სოფლის მეურნეობა ქვეყნის ძლიერების წყარო და ხერხემალი. ამიტომ, ახალგაზრდობას მოვუწოდებ, მინით დაინტერესდეს, მოუბრუნდეს სოფელს და არა მარტო ეფხი აუწყოს მის განვითარებას, არამედ თავის მხრებზე აიღოს ეფექტური ინიციატივები. ამ ყველფრისთვის კი საჭიროა, ისწავლოს, რათა იყვნენ კვალიფიციური სპეციალისტები, იყვნენ შრომისმოყვარეები, ჰქონდეთ სწრაფვა და ძიება უკეთესი მომავლისაკენ, რადგან გუშინდელი დღით კმაყოფილი ადამიანი მომავალს ვერ ააშენებს.

გეთანხმებით, ბატონო ჯემალი. საიუბილეო წელს გილოცავთ. თქვენ ერთ-ერთი გამორჩეული და კვალიფიციური მეურნე ხართ. ჯანმრთელობას და კვლავაც წარმატებულ საქმიანობას გისურვებთ. ღმერთმა შეილთაშვილებს მოგასწროთ.

ფოლკლორი და თანამედროება

სოფელი და ამ მცხოვრები ხალხი ისეთივე ანაბრაა, როგორც თავად მათი წყალი, ღვინო, ნაყოფი, მდინარე, ჰაერი და, რაც მთავარია, მათი ხასიათი. სიყვარულიც იცინა და საგარეოლიანი პრინციპაც. სოფელმა მოიყვანა ძველნიერება დღევანდლამდე. თითოეული ძველი სიტყვა, სოფლის პაპის და ბაგოს ნათქვამი, საბანაშორი შხანანის მარბალიტი, რაღბან მალე ის ალალი ხალხიც მოგვანატრება. ამიტომაც მნიშვნელოვანი სოფელი გადარჩენილი თითოეული სიტყვა, თითოეული პანაბი სიმღერად აკინაშული. და, მართლაც, ბანა რამ შიანანა სოფელი აქამდე, თუ არა ჩვენი ხალხის მიერ შემონახულმა ფოლკლორმა, ლეჰსად თუ სიმღერად ნათქვამმა სიბრძნემ.

ქალი, რომელზეც ახლა უნდა მოგიყვებო, ჩემი ბავშვობიდან მახსოვს, აგერ უკვე ოცი წელია იქნება, რომ ოზანში ფოლკლორის გადარჩენისთვის, შენახვისა და თაობებისთვის გადაცემისთვის იბრძვის. ის დიდი რუდუნებით ეჭიდება ქართული ხალხური საკრავების ახალგაზრდებში სწავლების საქმეს, მთელი გულით და ენთუზიაზმით. მე ვიცი და მახსოვს, უკიდურესი გაჭირვების უამსაც კი, მართლა ყოველგვარი საზღაურის გარეშე ცდილობდა ბავშვებს ესწავლათ მასთან. მოხდა სასწაული და სოფელში ფანდურის, სალამურის და გიტარის დაკვრას ყოველ კუთხეში გაიგონებდით. გამოცოცხლდნენ თაობები.

იგი თავად გურჯაანელი, სოფელ მუკუზანში გაზრდილი ახალგაზრდა მანანა ჯაფოშვილი გახლავთ. ჩემი მოგონებებიდან ხშირად მიდგას თვალწინ მისი საქმესთან ჭიდილი, ენერგიული იყო და ასეთადვე დარჩა. ამას წინათ სოფელში ვეწვიე და მასთან ინტერვიუ ჩავენერე:

-დავიბადე 1974 წელს 4 აგვისტოს სოფელ მუკუზანში, მქონდა ძალიან აქტიური და მჩქეფარე ბავშვობა, ჩართული ვიყავი ყველა ღონისძიებაში, დავდიოდი ცეკვაზე, მუსიკაზე, ფესტივალებზე, საიდანაც მოგონებები, სიგელები და ჯილდოები დამრჩა. აქ მინდა აღვნიშნო დედის დიდი როლი ჩემს წარმატებულ და საინტერესო ბავშვობის წლებში. მან ჩემთან ერთად იარა კვირაში სამი დღე მუსიკაზე და კვირაში ორი დღე ცეკვაზე, არ მიუტოვებდნენ არცერთი დღე, არცერთი წამი, რისთვისაც მადლობა მინდა გადაუხადო მას. სკოლის შემდეგი წლები ასე განვითარდა, 9 კლასის დამთავრების შემდეგ სიღნაღის მუსიკალურ სასწავლებელში ჩავირიცხე. კარგად მახსოვს, გამოცდაზე რომ ვიმღერე და დავუკარი, შიშით ვკანკალებდი, რადგან, გარეთ ისეთი გოგონები იდგნენ და ისე უდარდელად შედიოდნენ, რომ თავიდანვე იცოდნენ ჩაირიცხებოდნენ, ყველას ვილაც ჰყავდა, მე კი იმიტომ ვკანკალებდი, რომ ქვეყანაზე არავინ მყავდა და ჩემი ცოდნით გავდიოდი. არასოდეს დამავინწყებდა ის განცდა, როცა გამოცდიდან მაღალი ნიშნით გამოვედი, სიხარულის ტირილით გამოვვარდი და დედას ჩავეხუტე, არ მჯეროდა, რომ უფულოდაც ვინმეს შეიძლება ჩაებარებინა, და ეს მე ვიყავი იმდენ აბიტურიენტში.

- რას ნიშნავს დღეს თქვენთვის კულტურის სფეროში მოღ-

ვანობა და ამ კუთხით მუშაობა?

- ჩემი სამსახური ჩემი სულიერი საზრდოა, მე თუ ყურში ყოველნუს მუსიკა არ მესმის არ შემიძლია ცხოვრება. ყოფილა ისეთი დღეებიც, როცა უშუქობა, უპურობა და უღუმელოდ ცხოვრებაც გვქონია ხშირად, მაგრამ დავმჯდარვარ სწორედ იმ ღამის შუქზე და გულით მიმღერია შეილებსთვის, მათთვის ის საღამო გამილამაზებია. ერთი წელია, რაც გალობა დავინწყეთ სოფელში, გოგონები ვსწავლობთ, ჩვენი მრევლი და მგალობელი სოფო შანშაშვილი გვიტარებს გაკვეთილებს და ადრე თუ მდგომარეობიდან გამოსულს სიმღერა მშველოდა, ახლა გალობა მშველის. გუნდი შევქმენით ლევან ხუნაშვილის თაოსნობით.

-რას იტყვით თავად ბავშვებზე, თქვენ ხომ მათ სალამურზე, ფანდურზე და გიტარაზე დაკვრას ასწავლით, იქნებ წლე-



ჩემზე უკეთესად უკრავს სალომე თარაშვილი და მე ეს ძალიან მემამყება, რომ მე მჯობნის ჩემი მოსწავლე, მყავს კიდევ რუსუდან და ნინო ციტიშვილები, შორენა თევზაძე, თამუნა ყაჭაშვილი, ასე 20-ამდე მოსწავლე მუდმივად, რომლებიც ყველა ერთმანეთზე უკეთესები არიან.

- მანანა, მთლიანობაში მინდა შეაფასო, რა არის ფოლკლორი

სიმღერები, მინდა გითხრათ, არაერთი გავქვს და ამით ჩვენი თაობები უნდა ამაცოდნენ.

- მნიშვნელოვანი დღეები, წარმატებები და სამომავლო გეგმები როგორია?

- მთელი ჩემი მუშაობის პერიოდი ჩემთვის ყოველი დღე მნიშვნელოვანია, არცერთი ღონისძიება, არცერთი დღე-სასწაული, ახალი წელი, 8 მარტი, 9 მაისი, 9 აპრილი არ გამომიტოვებია და ჩემს ბავშვებთან ერთად ვდგავარ სცენაზე, მიუხედავად იმ მწარე რეალობისა, რომ ჩვენ კულტურის სახლის შენობა არ გვაქვს (წლები წინ დაინვა ოზანის კულტურის სახლი) და მოხეტიალე ცხოვრებით ვცხოვრობთ, ხან რომელიმე ოთახში შევიყვანენ, ხან რომელიმე ამაჯერად სოფლის პროგრამით ერთი ოთახი შეკეთდა ბაგა-ბაღის იზოლირებულ პირველ სართულზე, შეიცვალა კარ-ფანჯრები, გაკეთდა კიბე და ალბათ, მალე გადავალთ იმ ოთახში. ჯერჯერობით კი, სოფლის რწმუნებულის ოთახებში ვაფარებთ თავს. არ გამოგვიტოვებია ოზანობის თუ ამაღლებობის დღესასწაულები, 26 მაისს დედოფლისწყაროში გამოვდივართ ხოლმე სახალხო ფოლკლორულ დღესასწაულზე, სადაც ყველა სოფლის კულტურის მუშაკები იყრიან თავს. მე ჩემი ბავშვებით დიდიდანი იქ ვდგავარ, ვანყობთ ჩვენს ფოლკლორულ კუთხეს. ამ სახალხო ღონისძიებაზე ორჯერ პრიზიც ავიღეთ, სერაფიმე საროველის ხატი გვაჩუქეს და ხალხური ფოლკლორული ნომრის საუკეთესო შესრულებისთვის დაგვაჯილდოვეს, პირველ წელსაც გავიმარჯვეთ.

-რაც შეეხება ინსტრუმენტებს, გაქვთ ისინი?

-ინსტრუმენტები ახალი მთავრობის პერიოდში გადმოგვცა, მანამდე, სამწუხაროდ, ჩემი ინსტრუმენტებით გავდიოდი იოლას. რაიონული კულტურის სახლში სპეციალისტმა ნინო ნიკვაშვილმა გადმოგვცა ბას-ფანდური, ფანდური, სალამური, მართალია საკმარისი არ გვაქვს, მაგრამ აღრიდებულ პირობებს კიდევ სჯობია.

-შექსიერი ამბობს: „ცხოვრება სულელთ ფერხულია და გვინდა თუ არ გვინდა უნდა ჩავდგეთ და ვიტრიალოთო,“-როგორია შენი შეხედულება ცხოვრებისადმი, როგორ ფიქრობ, ის შენი ბავშვობის ოცნება, რომ გახდარიყავი მუსიკის სპეციალისტი და გემოლვანა ამ სფეროში, დაფასებულია დღეს სათანადოდ?

-ბავშვობიდან მიხანდა-სახული ვიყავი და ვფიქრობ, ის მიხანდასახულობა დღემდე წამადგა, მახსოვს ჩემს მუსიკის მასწავლებელს 500 მანეთი ჰქონდა ყოველთვიური ხელფასი, ის ბაკურციხეშიც ასწავლიდა და მუკუზანშიც და ორივეგან 1000 მანეთს იღებდა. არაფერი უჭირდა პედაგოგს. მაშინ მიზნად დავისახე, რომ მეც ასეთი პედაგოგი გაგმხდარიყავი და გავხდი კიდევ, თუმცა დღეს ჩემი სახელფასო ანაზღაურება 160 ლარია, მინდა ვთქვა, რომ ის დაფასება, რაც ჩემს ბავშვობაში იყო, დღეს აღარაა, მაგრამ დღეს თუ გადავხედავთ და გავხდი კიდევ, თუმცა დღეს ჩემი სახელფასო ანაზღაურება 160 ლარია, მინდა ვთქვა, რომ ის დაფასება, რაც ჩემს ბავშვობაში იყო, დღეს აღარაა, მაგრამ დღეს თუ გადავხედავთ, ზოგიერთ მუსიკის პედაგოგს 120 ლარი აქვს ხელფასი, ამის ფონზე თავს ვიმხნევებ, ჩემი პირობები კიდევ სჯობია მათსას. აი, ასე შედარებითობით ვიმხნევებ თავს, რაც შეეხება ცხოვრებას, მიუხედავად ბევრი სიღუჭირის ნახვისა, ვიტყვი, რომ იყოს ნება ღვთისა, როგორც აქამდე გამოვიარე, როგორც დღეს ვარ და როგორც ვიქნები მომავალში. მაინც ბედნიერი ვარ, ორი შვილი გამოვზარდე-ქალ-ვაჟი, გოგონასგან უკვე მყავს შვილიშვილი ანა. ქმარ-შვილიც ჯანმრთელად მყავს და ასე თუ ისე, თავი გავაქვს. წუთისოფელს თვალს არ ვუხუჭავთ, ვეჭიდებით, როგორც შეგვიძლია.

წარმატებებს გისურვებთ, უფალმა ინებოს, რომ ისეთი დროც დამდგარიყოს, რომ ყველა მოსამსახურის შრომა ღირსეულად დაფასებულიყოს, მათ შორის ფოლკლორის პედაგოგისა.



ბიც მიუთითოთ რამდენი წელია ამ მუსიკალურ პედაგოგიურ საქმიანობას ეწეით?

-მე პედაგოგი არ ვარ, მე სამწუხაროდ პედაგოგის სტატუსი არ მაქვს, მე კულტურის მუშაკად ვითვლები დღემდე და ამ საქმეს ვემსახურები. ბავშვებთან ინსტრუმენტზე დაკვრას და და სიმღერას 20 წელია ვემსახურები, თუ ეს პედაგოგობად ითვლება მაინც თავმდაბლობა მიჩვევია და ვერ გამითავისებია. რას ვიტყვით ბავშვებზე? საუკეთესო აღზრდილები მყავს, გავისხენებდი მარიამ და ანა ოზანშილებს, გადასარევადა ათვისეს და იხდენდნენ საიხვე ინსტრუმენტს, დღეს ანა ამერიკაშია, იქ მოღვაწეობს, მარიამს უკვე ოჯახი და შვილები ჰყავს. არაჩვეულებრივი მოსწავლე იყო შორენა ყაჭაშვილი, ისიც დაოჯახებულია და უკვე შვილიც ჰყავს, მოკლედ მოსწავლეებიდან უკვე დანერგულნი-ლებული ბებიაც ვარ. ამჯერად

შენთვის ხალხში გაბნეული მარგალიტები, ბუნებაში არსებული თვითმყოფადობა თუ ეროვნული მეობის საგანძური.

-ფოლკლორი, ის ერთადერთი ნიშანია, რითაც ქართულმა კულტურამ თავი გადაირჩინა. ჩემი აზრით, სამივეა დაამიტომ, მუდმივად მოგროვებას, მოფრთხილებას, შენახვას და გაახლებას საჭიროებს, ჩვენ ვინერთ ხალხში ძველ სიმღერებს და შირებს, ახლებურ სიოს დავკრავთ და ის ისეთივე ლალი და მშვენიერი მოსასმენია ახალ-ახალი თაობების ხმებით გაღვიძებული, როგორც არასდროს. ჩვენ ამაცები ვართ, რომ გვაქვს ჩვენი ფოლკლორი, ოზანის მდიდარია ხალხური ლექსებითა თუ სიმღერებით, გვეყავს ერთი პაპაც, რომელიც ძალიან კარგად მღერის მოსე ქურხულიძეის ლექსზე დანერგულ „არც ფანდური მაქვს არც სტივირი.“ ეს სუფთა ოზანური სიმღერაა, რომელიც საგანძურია, ამნაირი

25 თებერვალი - საქართველოში კომუნისტური გადატრიალების დღე

ყოველი ერის განვითარების ქრონომეტრაჟში არის თარიღები, რომლებიც მათი ისტორიული ტრაგედიის კონცენტრირებულ პრაქტიკას ქმნის და სრულიად ადექვატურ ცნობიერ და ქვეცნობიერ ეთნოფსიქოლოგიურ კომპლექსებს წარმოშობს. ბერძნებისთვის, მაგალითად, ასეთი თარიღია 29 მაისი (კონსტანტინოპოლის დაცემის დღე, 1453), ფრანგებისთვის - 22 ივნისი (კომპიენის კაპიტულაციის დღე, 1940), ბალტიისპირეთის ხალხებისათვის - 23 აგვისტო (მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის დადების დღე, 1939) და ა.შ. ჩვენთვის, ქართველებისათვის, ასეთი თარიღია 25 თებერვალი - რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის ის დღე, როდესაც რუსი ინტერვენტები თბილისში შემოიჭრნენ და საქართველოს დედაქალაქი დაიპყრეს.

საერთოდ, საქართველოს პირველი რესპუბლიკის (1918-1921) არსებობის 34-თვიან ისტორიულ მონაკვეთში ადგილი ჰქონდა რუსეთ-საქართველოს სამ ომს, ერთს - თეთრგვარდიულ-დენიკინურ რუსეთთან, ორს - ლენინ-ტროცკის რუსეთთან. ეს მომენტი ნათლად გვიჩვენებს, რომ ყველა დროის და ნებისმიერი პოლიტიკური ელიტის მმართველობის ქვეშ მყოფი რუსეთი (რომანოვების ცარისტული, კოლჩაკ-დენიკინის თეთრგვარდიული, ბოლშევიკების წითელგვარდიული, ხრუშჩოვ-ბულგანინის „ვოლუნტარისტული“, ბრეჟნე-სუსლოვის „განვითარებულ-სოციალისტური“, გორბაჩოვის „დემოკრატიული“, ელცინის „ლიბერალური“, პუტინის ავტორიტარული და ა.შ.) თანაზომიერი, ასე ვთქვათ, უცვლელად სტაბილური მტრობით უყურებს საქართველოს დამოუკიდებლობას, ებრძვის რა მას ასევე უცვლელად სტაბილური მეთოდებით. მეორე მხრივ, 34 თვის განმავლობაში სამი ომი, თავისთავად, სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების სინძირის უდავოდ მაღალი კოეფიციენტი.

პირველ ომს ადგილი ჰქონდა 1918 წლის ივნის - 1919 აპრილში. გენერალ დენიკინის სტრატეგია „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ შესახებ იმთავითვე ემუქრებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ არსებობას. 1918 წლის ივნისის მეორე ნახევარში საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა გენერალ მაზნიაშვილის სარდლობით გაათავისუფლეს ბზიფ-გაგრის სექტორი. შემდეგ კი, 2-5 ივლისს, სრულიად განსაკუთრებული სასაზღვრო პოლიტიკისა და პრევენციული ბუფერის შექმნის მიზნით, ჩვენი ძალები შევიდნენ სოჭი-ტუაფსეს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ზონაში.

1918 წლის 25-26 სექტემბერს წარუმატებლად დასრულდა ეკატერინოდარის (დღ. კრასნოდარი) მოლაპარაკება, რადგანაც დენიკინმა უსაფუძვლოდ მოითხოვა გაგრის ზონის რუსეთთან შეერთება, ხოლო მდინარე ბზიფსა და მდინარე ენგურს შორის „დამოუკიდებელი აფხაზეთის“ შექმნა (?). ჩვენმა ძალებმა განაგრძეს სოჭის ოლქის კანონიერი დაკავება.

მაგრამ 1919 წლის თებერვლის დასაწყისში დენიკინმა მუხანათურად დაარღვია ინგლისის სამხედრო მისიის მიერ „გარანტირებული“ დაზავების რეჟიმი: მოხალისეთა არმიამ დაიკავა ტუაფსე (4 თებერვალს), სოჭი (6 თებერვალს), გაგრა (7 თებერვალს) და მდ. ბზიფის მარჯვენა

ნაპირზე გამაგრდა. იმავე წლის აპრილში, სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ, გენ. კონიაშვილის შენაერთებმა შესძლეს მოხალისეთა არმიის მენიშავე ქვედანაყოფების განადგურება, გაგრის დაბრუნება და განთიადთან, მდ. მუხანდარის მარცხენა ნაპირზე გამაგრება. სამსუხარუდ, სოჭის დაბრუნება ვერ მოხერხდა.

ამის შემდეგ ნოე ყორღანის მთავრობა ფინანსურ და სამხედრო დახმარებას უწევდა კავკასიის მთიელ ხალხთა რესპუბლიკას, ხოლო დენიკინის მიერ ამ რესპუბლიკის განადგურების (1919 წ. ივნისი) შემდეგ - ჩენჩეთ-დაღესტანში შექმნილ ახალ პოლიტიკურ წარმომადგენელს - უზუნ-ჰაჯის ემირატი.

რუსეთთან (უკვე ბოლშევიკურთან) მეორე ომს ადგილი ჰქონდა 1920 წლის მაისის დამდეგს. 1920 წლის 27-28 აპრილის ღამეს აზერბაიჯანში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება (რუსული ინტერვენციით დამინერულმა მეჯლისმა გადააყენა უსუბეკოვის მუსავატისტური მთავრობა და საბჭოთა მთავრობა დააკანონა), რასაც შედეგად მოჰყვა ქვეყნის გასაბჭოება და ოკუპაცია რუსეთის XI არმიის მიერ.

1920 წლის 1 მაისს რუსეთის XI არმიისა (28-ე მსროლელი დივიზიის) და საბჭოთა აზერბაიჯანის გაერთიანებულმა ძალებმა დაიწყეს შეტევა საქართველოზე ორი მიმართულებით - აღსაყვანიდან ფოილოს ხიდზე და ყაზახიდან წითელ ხიდზე. ამის პარალელურად საკუთრივ საქართველოს შიგნით გააქტიურდნენ პრორუსული ჯგუფები: ვითარების შიგნიდან დესტაბილიზაციის მიზნით, მათ მოაწყვეს ამბოხების მცდელობა ლაგოდინის გარნიზონში და შეიარაღებული თავდასხმა თბილისის იუნკერთა სკოლაზე.

მაგრამ სდრ-ს არმიამ გენერალ კვინიტაძის მეთაურობით, 1-6 მაისის ბრძოლებში არათუ უკუაგდო მტერი, არამედ 35-40 კმ-ზე შეაღწია აზერბაიჯანის ტერიტორიის სიღრმეში. საქართველო-აზერბაიჯანის 1919 წ. 16 ივნისის სამხედრო კავშირის ხელშეკრულების თანახმად, ჩვენი გენერალური შტაბი (უფროსი - გენერალი ზაქარიაძე) გეგმავე და განჯისა და ბაქოს აღებას და აზერბაიჯანში საბჭოთა რეჟიმის დამხობას. მაგრამ საქართველო-რუსეთის 1920 წ. 7 მაისის მოსკოვის ხელშეკრულებისა და საქართველო-საბჭოთა აზერბაიჯანის 1920 წ. 12 მაისის აღსტაფის ხელშეკრულების დადების შემდეგ, ყორღანის მთავრობას საბრძოლო მოქმედებები შეაჩერა.

1920 წლის მაისის ომის უარყოფითი შედეგი იყო ზაქათალის ოლქის („საინგილოს“) ფაქტობრივი დაკარგვა. ამასთან, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებამ უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის შიგნით დესტრუქციული მეზუთე კოლონიის გაძლიერება (რუსეთის საელჩოს გაფართოება, კომპარტიის ლეგალიზაცია და სხვ).

არადა, კრემლმა 7 მაისის ხელშეკრულების დადებიდანვე დაიწყო პირობების შემზადება ახალი აგრესიისათვის. ეს პრო-

ცესი აქტიურ ფაზაში შევიდა 1920 წლის შემოდგომა-ზამთრიდან, განსაკუთრებით კი 1920 წ. ნოემბრის ბოლოს სომხეთის ძალდატანებით გასაბჭოების შემდეგ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მარტო დეკემბრის თვეში იმპერიულ ცენტრში გაიგზავნა რუსეთის სტრატეგიული დაზვერვის ორი საიდუმლო მოხსენება საქართველოს სამხედრო ძალების მდგომარეობისა და თავდაცვისუნარიანობის დონის შესახებ. ერთის ავტორი იყო XI არმიის სარდალი, გენ. ა. ჰეკერი (წარმომხობით თბილისელი გერმანელი), მეორისა - რუსეთის სამხედრო დაზვერვის ინკოვენიტორ რეზიდენტი, დოკუმენტში „მათემატიკური“ სიზუსტით იყო ჩამოთვლილი მთელი სტრატეგიული ინფორმაცია საქართველოს შესახებ - შეიარაღებული ძალების (არმიის, სახალხო გვარდიის, მცირერიცხოვანი ფლოტის, სასაზღვრო ჯარების) სტრუქტურა, პირადი შემადგენლობა, შეიარაღება, ოფიცერთა სამსახური განრიგი; სამხედრო სამინისტროსა

უარი თქვა პროექტის დაფინანსებაზე (?!).

1921 წ. იანვრის დასაწყისში დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიამ მიიღო დადგენილება ორწლენამსახური ჯარისკაცების რეზერვში დათხოვნის შესახებ (სიცი)...

ასეთი უნიათობა და მოახლოებული საფრთხის პირობებში გამოჩენილი არაპროსმჭვრეტელობა, ალბათ, იშვიათია ისტორიაში.

იმპერიულმა ცენტრმა საბოლოო გადაწყვეტილება საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის დაწყების შესახებ მიიღო 1921 წლის 26 იანვარს, როდესაც გაიმართა რკპ (ბ) ცკ-ის პლენუმი. ახლაც, ისევე როგორც ადრე „საკითხის დაჩქარებაში“ განსაკუთრებით აქტიურობდნენ ი. სტალინი (რუსეთის ეროვნებათა საქმის სახალხო კომისარი) და ს. ორჯონიკიძე (რკპ (ბ) ცკ-ის კავკასიის ბიუროს თავმჯდომარე). ხოლო ქართველ კოლაბორაციონისტთა ადგილობრივ ბანდას მეთაურობდნენ ფილიპე მახარაძე



და რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს შემადგენლობა; სამხედრო სტრუქტურების ტერიტორიული განლაგება და ტაქტიკური სქემები; საქართველოს ზოგადი მდგომარეობის ანალიზი და სხვ.

რას აკეთებს ამ დროს საქართველოს მთავრობა? გეგმავე თუ არა შესაბამის ღონისძიებებს? საერთოდ, გააჩნია თუ არა მეტ-ნაკლებად სრულყოფილი პრევენციული სტრატეგია? მოვიყვანოთ რამდენიმე ფაქტი.

ყორღანის მთავრობამ პირველი ცნობები გენ. ჰეკერის XI არმიის საინტერვენციო სამზადისის შესახებ მიიღო ბაქოში საქართველოს საელჩოსაგან (ელჩი - ა. აღმბაია) 1920 წ. სექტემბერში. ოქტომბრის დასაწყისში ანალოგიური ცნობები, სპეციალური საიდუმლო მოხსენების სახით, ყორღანის წარუდგინა სამხედრო მინისტრ ჭიჭინაძის კანცელარიაში. ეს ინფორმაცია ეყრდნობოდა გენერალური შტაბის ოპერატიული სექციის დაზვერვის განყოფილების (უფროსი - პოლკ. გედევანიშვილი) მიერ მოპოვებულ უტყუარ მონაცემებს.

1920 წ. ოქტომბრის შუა რიცხვებში საინჟინრო ჯარების უფროსმა, გენერალმა თაყაიშვილმა მთავრობას წარუდგინა თავდაცვის ოპერატიული ზონის შექმნის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა საგარეჯოდან იალღუჯის მთის მალაზღამდე დროებითი სიმაგრეების მოწყობას, ასევე ფოილოს სასაზღვრო ხიდის და სხვა კომუნისკაციების გამაგრებას. მაგრამ მთავრობამ

და გეზი თბილისის მიმართულეობით აიღეს. 13 თებერვალს XI არმიის 98-ე ბრიგადამ აიღო წითელი ხიდი. განსაკუთრებით მძიმე ვითარება შეიქმნა მარცხენა ფრთაზე - რუსეთ-საბჭოთა აზერბაიჯანის გაერთიანებულმა ძალებმა დაძლიეს ჩვენი ჯარების ლაგოდინის გარნიზონის წინააღმდეგობა, თითქმის მთელი კახეთი დაიკავეს და თბილისს ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან მოუახლოვდნენ.

14 თებერვალს მთავრობამ მთავარსარდალის თანამდებობიდან გადააყენა გენ. ი. ოდიშელიძე და მის ადგილას გენერალი გიორგი კვინიტაძე დანიშნა. არსებული კანონმდებლობის თანახმად, შეიარაღებული ძალები ექვემდებარებოდნენ პარლამენტს (დამფუძნებელ კრებას), ხოლო ომის დროს უმაღლესი მთავარსარდალის ფუნქციას ასრულებდა სპეციალურად დანიშნული პირი და არა მთავრობის თავმჯდომარე ან სამხედრო მინისტრი.

კვინიტაძემ მთელი ყურადღება თბილისის ირგვლივ თავდაცვის ოპერატიული ზონის შექმნაზე გადაიტანა და ჯარებიც ძირითადად დედაქალაქის მიდამოებში განალაგა. ფრონტი გადაჭიმული იყო მანგლისიდან დიდ ლილომდე და სამ ტაქტიკურ რაიონს მოიცავდა: მარჯვენა საოპერაციო რაიონს მანგლისიდან ტაბახმელამდე სარდლობდა გენ. ანდრონიკაშვილი, ცენტრალურ რაიონს ტაბახმელადან ორნევიამდე - გენერალი მაზნიაშვილი, ხოლო მარცხენა ფრთას მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირიდან ლილომდე - გენერალი ჯიჯიხია.

16 თებერვალს მულავერში შეკონინებულ იქნა „საქართველოს რევიკომი“ ფ. მახარაძის, მ. ორახელაშვილის, შ. ელიაშვილის, ბ. მდივინის, ბ. კვიციანიას, ა. ნაზარეთიანისა და ლ. დუმბაძის შემადგენლობით. სამშობლოს გამყიდველთა ამ ხროვამ „ოფიციალურად“ მიმართა რუსეთს „გადაუდებელი სამხედრო დახმარების“ შესახებ. ეს მაშინ, როცა ინტერვენცია უკვე ხუთი დღის დაწყებული იყო.

17 თებერვალი აღინიშნა რუსული აგრესიის მასშტაბების საგრომბო გაფართოებით: XIII და IX წითელმა არმიებმა დაიწყეს შემოტევა სოჭი-სოხუმი-ზუგდიდისა და მამისონი-ონი-საჩხერე-ქუთაისის მიმართულეობით.

განსაკუთრებით მძაფრი ბრძოლები მიმდინარეობდა ცენტრალური ფრთის ტაბახმელა-სოლანლულის სექტორში და მარჯვენა ფრთის კოჯორი-ტაბახმელას ხაზზე. 18-21 თებერვალს წარმოებულ ბრძოლებში გენ. მაზნიაშვილმა შეძლო მტრის შემოტევების მოგერიება და პოზიციური ფრონტის შექმნა. გენ. ანდრონიკაშვილის ჯარებმა კი, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ თბილისის იუნკერთა სკოლის კურსანტები, არათუ მოიგერიეს მონინააღმდეგის იერიშები, არამედ შეტევაზეც გადავიდნენ და ასეულობით ტყვეც იგდეს ხელთ.

ვითარება გაართულა მარცხენა რაიონში განვითარებულმა ბრძოლებმა. გენერალ ჯიჯიხიას ნაწილებმა ვერ შეძლეს მონინა-ალილოგის შეკავება და ვაზიანი-ლილოს ხაზიდან უკან დაიხიეს. კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა 24 თებერვლის შუადღისათვის. ვაზიანი-ლილოს ხაზიდან რუსეთის ჯარებმა დაიწყეს ნინსულა ავჭალა-მცხეთის მიმართულეობით, რის გამოც თბილისის გარნიზონი ალყის საფრთხის წინაშე დადგა. ამიტომ მთავარსარდალმა კვინიტაძემ მიიღო დედაქალაქის დატოვების გადაწყვეტილება.

25 თებერვალი - საქართველოში კომუნისტური გადატრიალების დღე

(მეექვსე გვერდიდან)

24-25 თებერვლის ღამეს დედაქალაქი დატოვეს მთავრობის დანესებულებებმა, დამფუძნებელმა კრებამ, შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებმა და შენაერთებმა.

25 თებერვლის შუადღისათვის თბილისში შემოვიდა ოკუპანტთა მსხვილი დაჯგუფება XI არმიის პენზის მე-20 დივიზიისა და კურსკის მე-9 დივიზიის 70-ე პოლკის შემადგენლობით, რომელსაც სარდლობდა გენ. მ. ველიკანოვი. ეს უკანასკნელი, პარალელურად თბილისის კომუნისტურ დაინიშნა. 25 თებერვლის საღამოს მთავრობის სასახლეში შევიდა „საქართველოს რევკომი“ და შეუდგა თავისი მოლაპარაკებური ფუნქციის აღსრულებას.

საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა და უმაღლესი სარდლობის შტაბმა ვერ შეძლეს მცხეთის პოზიციებზე გამაგრება და უკანდახევა განაგრძეს. ბრძოლები მოხდა გორის მიდამოებში, ხაშურის ზონაში (ოსიაურთან), სურამის ქედზე, ზემო იმერეთის ხეობებში. სამხუაროდ, ჩვენმა ძალებმა ვერ შეძლეს თავდაცვის ტაქტიკური ხაზების ორგანიზება და, აფხაზეთისა და მამისონის მიმართულებებიდან მორავი რუსეთის ჯარებისაგან გარემოცვის საშიშროების გამო, საჯავახოსა და აჭარისკენ დაიხიეს. 4 მარტს რუსები შევიდნენ სოხუმში და გენ. დ. ართვლადის ჯარებმა სენაკისკენ დაიხიეს. 5 მარტს მტერმა დაიკავა ფოთი, 8 მარტს - სენაკი, 10 მარტს - ქუთაისი და სამტრედი.

სტრატეგიული სიტუაცია მნიშვნელოვნად შეცვალა თურქეთის მხრიდან მეორე ფრონტის გახსნამ. ცხადია, ამაზე არსებობდა ქვემოლსტებისა და ბოლშევიკების ნინასწარი შეთანხმება. თურქებმა დაიკავეს არტაანისა და ართვინის ოლქები და, ისარგებლეს რა შექმნილი ვითარებით, აჭარაშიც შეიჭრნენ.

ძალთა თანაფარდობის მოცემულ კონფიგურაციაში ჟორდანის მთავრობა ამჯობინებდა აჭარა თუნდაც საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში დარჩენილიყო, ვიდრე თურქეთის დაეპყრო, ამიტომ მან რევკომთან გამართა მოლაპარაკება ქუთაისში, 1921 წლის 17-18 მარტს, ბათუმის ოლქის ერთობლივი დაცვის შესახებ. თუმცა ბათუმშიდან თურქი ასკერების განდევნა გენ. მაზნისაშვილის ჯარებმა მოახერხეს საკუთარი ძალებით, საჯავახოიდან ბათუმამდე საბჭოთა ნაწილების შესვლამდე.

კრემლს სურდა, რომ ნ. ჟორდანისა და საქართველოს მთავრობის ზოგიერთ სხვა წევრთან ენარმოებინა მოლაპარაკება სოციალისტურ პლატფორმაზე დაყრდნობით კოალიციური მთავრობის შექმნის მიზნით. ლენინ-

ისა და ტროცკის მზაკვრული ჩანაფიქრით, ჟორდანისთან კომპრომისულ შეთანხმებას და დროებით ბლოკს უნდა უზრუნველყო რუსეთის სამხედრო აქციის ერთგვარი ლეგიტიმაცია.

რევკომში დაიბარეს დამფუძნებელი კრების წევრ ქართველ მოღვაწეთა ერთი ჯგუფი (გ. ქიქოძე, მ. ნერეთელი, გ. ნათაძე და თ. ლლონტი), რომელიც გაგზავნილ იქნა მოსალაპარაკებლად ნ. ჟორდანისთან. მაგრამ „ბათუმის დიალოგი“ უშედეგოდ დასრულდა: ნ. ჟორდანისმა კატეგორიული უარი განაცხადა ყოველგვარ თანამშრომლობაზე, რითაც საკუთარ მთავრობას ერთადერთი კანონიერი ხელისუფლების სტატუსი შეუნარჩუნა და, ამასთან ერთად, მომავალ თაობებს საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენისათვის ბრძოლის საერთაშორისო-სამართლებრივი უფლებამოსილება დაუტოვა.

ბათუმში გამართულმა დამფუძნებელი კრების ბოლო სესიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად საფრანგეთში გასულ მთავრობას და დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს დაევალებოდა, ემიგრანტული სტატუსით ენარმოებინათ ბრძოლა ქართველი ერის სუვერენული უფლებების აღდგენისათვის.

საქართველოში დამყარდა ბოლშევიკების ანტიეროვნული დიქტატურა (ჯერ ე.წ. „რევკომების სისტემის“, შემდეგ კი საბჭოთა ხელისუფლების სახით), რომელიც რუსეთის სამხედრო ძალებს ეყრდნობოდა და ამიტომ მარიონეტული საოკუპაციო რეჟიმის შინაარსს ატარებდა. 1921-1923 წლებში, მიშველ საოკუპაციო ძალებზე დაყრდნობით, საბჭოთა რეჟიმმა შეძლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ინსტიტუტების, სახელმწიფო წყობისა და პარტიული სისტემის ლიკვიდაცია, რამაც რეჟიმი გადააქცია ტოტალიტარულ სისტემად, კომპარტიისმონოპოლიური ძალაუფლებით. არსებითად ეს იყო რუსული კოლონიალიზმის შემობრუნება, ოღონდ კომუნისტური ფორმით.

ასეთია, მოკლედ, 25 თებერვლის სინდრომი. სიტყვა „სინდრომი“ შემთხვევით როდი ვხმარობთ. 25 თებერვალი, როგორც ტრაგიკული (და მნიშვნელოვანი) კატასტროფული მოვლენა, მხოლოდ ისტორიული ფაქტი არ არის. ის სწორედ რომ სინდრომია, რამეთუ მასში ერთ-ბაშად რამდენიმე ფაქტორი და ისტორიული ტრაგედიის მიზეზი იყრის თავს. რუსული იმპერიალიზმის გარდა არის კიდევ სულ ცოტა ორი ფაქტორი:

1) იმდროინდელმა დასავლეთმა გამოიჩინა სრული პასიურობა. დასავლეთის დახმარება (1921 წ. 27 იანვარს ანტანტის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დე იურე ცნო-

ბის გარდა) შემოიფარგლა იმით, რომ 1921 წ. 28 თებერვალს შავი ზღვის აკვტორიაში მყოფმა ფრანგულმა ხომალდმა დაბოძა გაგრილის მიდამოებში შემტევი რუსული ქვედანაყოფი. სხვაფრივ დ. ლოდ ჯორჯმა და ა. მილიერანმა „სტრატეგიული“ დუმილი არ დაარღვიეს.

2) ტრაგედიის სერიოზული მიზეზი იყო ქართული კოლაბორაციონიზმი. აქ ვგულისხმობთ არა მხოლოდ სტალინს, ორჯონიკიძეს, ენუქიძეს და „რევკომის“ წევრებს. მოლაპარაკებულ ქართველთა საკმაოდ მოზრდილი მასა უშუალოდ მონაწილეობდა ომში, შემტევი რუსული არმიების ტაქტიკური შემადგენლობაში.

მათი შეკრების ძირითადი ცენტრები იყო რკპ (ბ) ცკ-ის კავებუროს სამხედრო სექცია და აზერბაიჯანის კპ(ბ) ცკ-ის „ქართული ბიურო“. აქედან იგზავნებოდნენ ისინი ნითელი არმიის ქვედანაყოფებსა და შენაერთებში და გააფორმებთ ებრძოდნენ საკუთარ სამშობლოს. ორჯონიკიძე, ორახელაშვილი, ელიაფა და სხვა გამყიდველები კი გენ. ლევანდოვსკის შტაბთან ერთად მოძრაობდნენ და ფაქტობრივად ნითელ არმიას შეუძღვენენ თბილისში.

ეს იყო ისტორიული ქართული კოლაბორაციონიზმის მორიგი შეტევა საკუთარ სამშობლოზე. საერთოდ, ქართულ კოლაბორაციონიზმს თვითგანახლების, თაობიდან თაობაში ინანეტური გაყრდნისა და სერვილიზმით გაყრდნითი ფსიქო-სოციალური ევოლუციის საოცარი უნარი აღმოაჩნდა. ის არც აღმოფხვრილა და არც არსად ნასულა. აქ არის, ჩვენი გვერდით სისინებს, ჩვენი ყოფიერების სივრცეში ტრიალებს და სულმოუთქმელად ელის ახალ ინტერვენციებს და ანექსიებს, შინაური ფრონტის გასახსნელად.

მაგრამ ისტორიას ვერ უარყოფ და ვერც შეებრძობები. 25 თებერვლის სინდრომი არის ის აზრობრივი მექანიზმი, რომელიც ხსნის საქართველოს ტრაგედიის „ფორმულას“ და ამით მუდმივი გონიერებისკენ მოგვიწოდებს.

* * *

25 თებერვალი ტრაგიკული თარიღია საქართველოს გარდაკიდევ ერთი ქვეყნის ისტორიაში და უცნაურია, რომ ისიც კომუნისტების აღზევებას უკავშირდება! საქართველოს გასაბჭოებდან ზუსტად 27 წლის შემდეგ, 1948 წელს კომუნისტებმა ე.წ. „ცივი სახელმწიფო გადატრიალება“ განახორციელეს ჩეხოსლოვაკიაში, ხელთ იგდეს მართვის სადავეები და სულ მალე ეს სახელმწიფო, კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე კლემენტ გოტვალდის ხელმძღვანელობით, მოსკოვის ერთგულ სოციალისტ მოკავში-

რედ აქციეს. ასე დამთავრდა მწვავე კრიზისი ჩეხოსლოვაკიის მთავრობაში; ასე, ჩეხოსლოვაკი კომუნისტების გამარჯვებით დამთავრდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კრემლში ჩაფიქრებული პროცესი, რომლის მიზანი იყო აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური მთავრობების ამოქმედება.

რა და რატომ მოხდა 1948 წლის 25 თებერვალს ჩეხოსლოვაკიაში?

ჩეხოსლოვაკიაში გათამამდა სცენარი, რომელიც უკვე ნაცადი იყო პოლონეთსა და უნგრეთში, ბულგარეთსა და რუმინეთში: ხელისუფლების სათავეში კომუნისტების ჩადგომას ნინ უსწრებდა კოალიციური მთავრობის შექმნა, რის შემდეგაც, ადგილობრივი კომუნისტებისა და მათი საბჭოთა მოკავშირეების ძალისხმევით, ინყებოდა არაკომუნისტური ძალების ჩამოშორება სხვადასხვა მეთოდით - იქნებოდა ეს მათი შეყვანა პარტიულ ბლოკებში, არჩევნების გაყალბება, თუ ტერორი.

48 წლის თებერვლამდე ჩეხოსლოვაკიის კოალიციური მთავრობა მართავდა - ის 1946 წელს დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის მიზნით ჩამოყალიბდა. მაგრამ მალე ცხადი უნდა გამხდარიყო, რომ კოალიციაში შემავალ მემარჯვენე-ცენტრისტებს, სოციალ-დემოკრატებსა და კომუნისტებს შორის უთანხმოება უფრო ღრმა იყო, ვიდრე საერთო მიზნის მიღწევის სურვილი. 1948 წელს კრიზისი უკვე აშკარად გამოიკვეთა: როცა ცნობილი გახდა, რომ კომუნისტებმა, ფაქტობრივად, თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს პოლიცია და უშიშროების სამსახური, პროტესტის ნიშნად პოსტებიდან გადადგნენ მთავრობის წევრი მემარჯვენე ცენტრისტები - 12 მინისტრი. მათ ვადადელი არჩევნების დაინიშნა მოითხოვეს.

ეს მოხდა 1948 წლის 20 თებერვალს, რის შემდეგაც ყველაფერი ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტ ედვარდ ბენეშზე იყო დამოკიდებული: თუ ის დემოკრატიული პარტიების წარმომადგენელი მინისტრების გადადგომას მიიღებდა, რომ იტყვიან, ბურთი და მოედანი კომუნისტებს დარჩებოდა. რა გადაწყვიტა პრეზიდენტმა ბენეშმა, ამის შესახებ მოგვითხრობს ჟურნალისტი ოლგა კაპეცკა, ჩვენს რადიოში შარშან დასწრული ჩეხური რედაქციის ყოფილი დირექტორი: [ოლგა კაპეცკას ხმა] „პრეზიდენტმა ბენეშმა, რომელიც დემოკრატიული ძალების წარმომადგენელი იყო, მაგრამ იმ პერიოდში უკვე მძიმედ ავადმყოფობდა, შესარულა კომუნისტების მოთხოვნა და მიიღო 12 მინისტრის გადადგომა. იმავე დღეს კომუნისტებმა დიდი დამოკიდებულება გამართეს პრავის ცენტრში, სტარომესტკას მოედანზე, სადაც კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ, კლე-

მენტ გოტვალდმა აივნიდან მიმართა შეკრებილებს. მან ხალხს ამცნო, რომ ეს-ეს არის მოვიდა პრეზიდენტის სასახლიდან და რომ პრეზიდენტმა კომუნისტების ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა“.

მაინც, რატომ გადადგა ედვარდ ბენეშმა ასეთი ნაბიჯი? [ოლგა კაპეცკას ხმა] „ზოგის ვარაუდით, ბენეში შიშობდა, რომ საქმეში საბჭოთა არმია ჩაეროდა. ხოლო ზოგი ფიქრობს, რომ ბენეში უკვე იმდენად ცუდად გრძობდა თავს (ის ხომ იმავე წლის სექტემბერში გარდაიცვალა), რომ დაპირისპირება გაურბოდა. ძნელი სათქმელია... ფაქტი კი ის არის, რომ დემოკრატიული პარტიები ძალიან ცუდად იყვნენ მომზადებული და ის, რაც მათ გააკეთეს (მინისტრების გადადგომას ვგულისხმობ), სტრატეგიულად არასწორი ნაბიჯი იყო.“

დემოკრატიული პარტიებისაგან განსხვავებით, კომუნისტები კარგად მომზადებული აღმოჩნდნენ: 1948 წლის 21 თებერვალს მათ მომხრეთა 80 000-კაციანი დემონსტრაცია გამართეს, ხოლო 23 თებერვალს პოლიციამ იარაღი გამოიყენა სტუდენტების ინიციატივით მოწყობილი ანტიკომუნისტური გამოსვლის დასაშლელად.


მაგრამ, ოლგა კაპეცკას შეფასებით, სამოქალაქო ომის საფრთხე არ არსებობდა. მამ, შესაძლებელი იყო ჩეხოსლოვაკიაში კომუნისტური მმართველობის თავიდან აცილება? [ოლგა კაპეცკას ხმა] „ალბათ, შესაძლებელი იყო. მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი იყო იან მასარიკი, ჩეხოსლოვაკიის პირველი პრეზიდენტის, ტომამ გარეგ მასარიკის შვილი. ის მაშინვე რომ წასულიყო დასავლეთში და მათთვის აქსნა, რა ხდება, რომ არჩეობს კომუნისტური რეჟიმის დამყარების საფრთხე, შესაძლოა, მოვლენები სხვაგვარად განვითარებულიყო. დღეს, ამდენი წლის შემდეგ, ძნელია ამის თქმა...“

დღეს ჩეხეთი და სლოვაკეთი ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომლებიც მეტ-ნაკლებად წარმატებით ართმევენ თავს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ რეფორმებს და მტკიცედ ადგანან ევროპაში ინტეგრაციის გზას. კომუნისტური რეჟიმი ჩეხებისა და სლოვაკების უმეტესობას, მართალია, უსამბოვნო მოგონებად თუ შემორჩა, მაგრამ 25 თებერვალს აუცილებლად გაიხსენებენ ხოლმე 1948 წლის დრამატულ მოვლენებს. ამჯერად პრავაში საღამო ხანს, თბილისის დროით 20:30 საათზე გაიმართა სტუდენტების მიერ ორგანიზებული მიტინგი, რომელზეც პატივი მიაგეს კომუნისტების მსხვერპლთა ხსოვნას.

მასალა მოამზადა ინგა შიოლაშვილმა

სსრკ

ბაკურ ბაცაშვილი



და ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა ნათელში ამყოფოს შენი წმინდა სული.

უკვე მეორე წელია, შენს დაბადების დღეს უშენოდ ვხვდებით, ჩვენო ბაკური. ენით აუნერგელი ტკივილით, ცრემლებით და ყვაილებით გილოცავთ დაბადების დღეს. 20 თებერვალს 49 წელი შეგისრულდებოდა. ძნელია შენი მშობლებისა და ძმის ნუგეში. შენი თბილი გულის ნაცვლად წმინდა სანთლებით ვეფერებით ცივ, უგრძობ ქვას. ჩვენი ოჯახის დიდო ტკივილი და მონატრება, შენთვის სანთელს სულ ვანთებთ, რომ ზეციურ სასუფეველში გზა გაგინათოთ. შენი დაკარგვით გამოწვეულ ტკივილის უამთა სვლა ვერაფერს დააკლებს. გილოცავთ და დედასა და მამას გილოცავთ.

შენი მშობლები და ძმა.

მეუღლე მაყვალა, შეიღებო: ილია, აკაკი, შვილიშვილები: ალექო, მაკო, რძალი ელგა ხარაშვილი, დისშვილები, ძმისშვილები მწუხარებით იუნყებიან ალექსი კოტაშვილის გარდაცვალებას.

დაკრძალვა შაბათს, 20 თებერვალს ქ. დედოფლისწყაროში.

უახლოესი მეზობლები: ვაჟა და სოსო ნატროშვილები, ხათუნა ნატროშვილი, ვიოლა და ლია რობიტაშვილები, ვახტანგ ბოსტოლანაშვილი, გურამ მოლაშვილი, მირიან პოპიაშვილი, გია ჯანაშვილი, ვალერი ყოჩიაშვილი ოჯახებით იუნყებიან ნოდარ ჯინაშვილის გარდაცვალებას და თანაგრძობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გელა გველუკაშვილი ოჯახით სამძიმარს უცხადებს მაყვალა, ილია და აკაკი კოტაშვილებს ალექსის გარდაცვალების გამო.

გელა გველუკაშვილი ოჯახით სამძიმარს უცხადებს მარო, ნანა, მათა და რამაზ აკობიშვილებს მამის ზურაშის გარდაცვალების გამო.

ნაზი მოსაშვილი და ნანა ლეკაშვილი თანაგრძობას უცხადებენ ნელი, მაკა, ნაზული შოშიაშვილებს, ნინო, ნანა, ელზა ყოჩიაშვილების ოჯახებს ჯემალ ყოჩიაშვილის გარდაცვალების გამო.

„ჩემპიონი“ კვლავ წარმატებულია

ქალაქ თბილისში სპორტკომპლექს „არენაში“ გაიმართა საერთაშორისო ტურნირი კიკბოქსინგში კ-1 წესებით. ორთაბრძოლებში მონაწილეობას ლეზბულებს ქართველი, აზერბაიჯანელი და ირანელი კიკბოქსინგელები. ტურნირში მონაწილეობის მისაღებად დედაქალაქში ასევე იმყოფებოდნენ დედოფლისწყაროს სპორტული კლუბის „ჩემპიონის“ მოკრივეებიც, რომელ-

გამარჯვებული სპორტსმენები და ვიდეოდონენ მედლებით და სპციალური დიპლომებით. რამდენად მნიშვნელოვანი ტურნირი იყო და რა გეგმები აქვთ დედოფლისწყაროელ მოკრივეებს, გაზეთი „შირაქი“ კლუბ „ჩემპიონის“ ესტუმრა და დეტალების გარკვევას შეეცადა.

„პროფესიონალური ორთაბრძოლები გაიმართა და ამით იყო მნიშ-

ვარჯიშებს ვატარებთ.“ - ამბობს მწვრთნელი, თამაზ ჭარბაძე.

ლევან წიკლაური: „ფინალურ ორთაბრძოლაში ირანელი მეტროლი დავემარცხე. ჩემპიონატი ძალიან მნიშვნელოვანი და სტიმულის მომცემი იყო ჩემთვის, რადგან წლის დასაწყისში პირველივე ასპარეზობა ასეთი წარმატებით დავასრულე. მეტოქე საკმაოდ ძლიერი და გამოცდილი შემხვდა. ის ირანის ჩემპიონია, თუმცა ჩემმა შრომამ და დაუღალავმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო და გამარჯვება მომიტანა. ვულოცავ დედოფლისწყაროს, ჩემს გუნდს და ჩვენს ყველა გულშემატკივარს. დამეთანხმებით, რომ, როცა სხვა ქვეყნის წარმომადგენელთან ბრძოლის დროს იმარჯვებ, ეს მთელი ქვეყნის გამარჯვებაა, რადგან ქვეყნის სახელი ვინძობით. ორი მიმე ნოკდაუუნის შედეგად, მესამედ, მეტროლი დროზე ადრე მოხსნეს რინგიდან და ეს იყო ორთაბრძოლის დროზე ადრე დასრულება ჩემს სასარგებლოდ. რასაც ნოკაუტით გამარჯვება ჰქვია. სამომავლოდ მინდა, რომ გავხდე ყველაზე საუკეთესო სპორტსმენი. ეს ყველას ოცნებაა, მაგრამ ვფიქრობ, ჩემთვის ეს ისეთი მიზანია, რაც რეალურია, შესა-

ძლებელი და მიღწევადი. მაქვს ამის დროც, საშუალებაც და ძალაც, რომ ამ მიზნის მისაღწევად ვიბრძოლო და ძალები არ დავიშურო. ვარჯიში ჩემი ცხოვრების არსია, იმედი მაქვს მომავალში ლეთის წყალობით და ადამიანების თანადგომით, ყველაფერს მივალწე და უფრო დიდი წარმატებები მიქნება, რომ გავხდნარო დედოფლისწყაროც და ჩემი ქვეყანაც“.

ნიკა ფიროსმანაშვილი: „მეც ირანელ მეტროლითან პაექრობა მომიხდა, ძლიერი მონინალმდევე იყო, სიმართლე გითხრათ, გამიჭირდა შედეგის ჩვენება. თუმცა, საბედნიეროდ, ფინალურ ორთაბრძოლაში დავამარცხე და ჩემპიონის წოდება დავისაკუთრე. ბედნიერი ვარ, რომ წარმატების მიღწევა შევძელი და იმედი მაქვს, შედეგები ნელი მექნება და წლის ბოლომდე სხვა გამარჯვებებსაც მოვიპოვებ. ამისათვის აქტიურად ვემზადებით, ძალოვნებს არ ვიშორებთ და უფრო დიდ წარმატებებს ვუმიზნებთ.“

კლუბ „ჩემპიონი“ ამბობენ, რომ ახალი სპორტული დარბაზით სარგებლობის საშუალება მიეცათ, რამაც მათი მოსამზადებელი პირობები ბევრად გააუმჯობესა. ცნობილია, რომ მანამდე მოკრივეებს ე.წ.

გაერთიანების შენობაში უწევდათ ვარჯიში, სადაც შესაბამისი გარემო არ არის.

ამას გარდა, 13 თებერვალს ქალაქ დედოფლისწყაროში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის ორგანიზებით გაიმართა გიორგი ყოჩიაშვილის სახელობის ტურნირი ფრენბურთში, სადაც მონაწილეობას ლეზბულებს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა გუნდები, მათ შორის კიკბოქსინგის გუნდი „ჩემპიონი“.

შეჯიბრების მსვლელობა საკმაოდ დაძაბულ წარმართა, ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ დედოფლისწყაროს შსს საგანგებო სიტუაციის მართვის სამსახურის გუნდი და კიკბოქსინგის გუნდი „ჩემპიონი“. მატჩი კიკბოქსინგელების წარმატებით დასრულდა.

განსაკუთრებით საინტერესოდ მიმდინარეობდა ფინალური შეხვედრა დედოფლისწყაროს ფრენბურთის ნაკრებ გუნდსა და კიკბოქსინგის გუნდ „ჩემპიონ“-ს შორის. კიკბოქსინგელებმა თავი არ დაზოგეს, ბრძოლის უნარიანობა ფრენბურთშიც გამოავლინეს და პირველობა მოიპოვეს.

ილია მარტყოფლიშვილი



თა ასპარეზობა წარმატებული გამოდგა.

როგორც დედოფლისწყაროს სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრში აცხადებენ, სამ წონით კატეგორიაში ჩემპიონობა მოიპოვეს დედოფლისწყაროელმა სპორტსმენებმა. 57 კგ წონით კატეგორიაში ლევან ნიკლაური; 60 კგ ნიკა ფიროსმანაშვილი, ხოლო, 85 კგ წონით კატეგორიაში კობა კობიაშვილი.

ვენელოვანი, ყველა დედოფლისწყაროელმა, რომელიც ჩემპიონატზე გაემგზავრა, ჩემპიონის წოდება მიიღო. სასიხარულოა, რომ 2016 წელი დედოფლისწყაროს სპორტულმა კლუბმა „ჩემპიონი“ ტრადიციულად გამარჯვებით დაიწყო. წელს კლუბი ჩემპიონი კვლავ გეგმავს სხვადასხვა ქვეყნებში ტურნირებში მონაწილეობას, რისთვისაც შემართებით ვემზადებით და სხვადასხვა შრომატევად

უზუსტეს გუნდი გიუჯაბიდან დაფინანსდება

9-10 თებერვალს ჩატარდა თბილისის ლია პირველობა უზუსტეს, სადაც მინეული იყო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრის უზუსტეს გუნდი (მწვრთნელი გიორგი ცისკარაული). გუნდი აღნიშნულ შეჯიბრებაში 9 სპორტსმენით იყო წარდგენილი და ერთ-ერთი საუკეთესო შედეგიც აჩვენა.

საერთო ჯამში მათი მონაპოვარი ასეთია: ცხრა სპორტსმენიდან 5 პირველი ადგილი, 3 მეორე ადგილი და 1 მესამე ადგილი. პირველი ადგილის მფლობელები გახდნენ: ბექა გონაშვილი, ლუკა პოპიაშვილი, ნიკოლოზ გლახოშვილი, ნიკა ჩიტინიძე და სერგო პეტროსიანი. მეორე ადგილები წილად ხვდათ ნიკა ჯანიბეგაშვილს, აჩიკო ელიყაშვილს და გიორგი კეკელიძეს, ხოლო მესამე ადგილი დათო გლახოშვილს ერგო.

გიორგი ცისკარაული: „ჩვენი გუნდი მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრის ოფიციალური დაფინანსებით შეჯიბრებაზე პირველად იმყოფებოდა. შეჯიბრებისთვის საჭირო ხარჯები, რაც მიმე ტვირთად აწვა ჩვენს სპორტსმენებს, ამჯერად სრულად დაფარა სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრმა. შეგახსენებთ, დედოფლისწყაროს უზუსტეს გუნდი 2015 წლის დეკემბრიდან ოფიციალურად გადავიდა სპორტის ცენტრის ბიუჯეტზე და ამერიიდან სპორტსმენებს თავისი ხარჯებით აღარ მოუწევთ შეჯიბრებებზე სიარული. ეს მნიშვნელოვანი თანადგომა იყო ჩვენთვის, ამისთვის დიდ მადლობას ვუხდით რაიონის გამგებებს ბატონ ნიკოლოზ ჯანიბეგაშვილს, რომელიც სხარულით დათანხმდა ამ შეთავაზებას და სრული გვერდში



დგომა აღგვიტყვა. ასევე დიდ მადლობას ვუხდით სპორტის ცენტრის ხელმძღვანელს ბატონ ავთანდილ ხუმარაშვილს მხარდაჭერისთვის, ასევე დიდ მადლობას ყველა ჩვენს გულშემატკივარს. ჩვენი მოტივაცია ამერიიდან ორმაგა და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ შედეგები კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ. ხშირ შემთხვევაში სპორტსმენებს ჩემპიონატებში მონაწილეობის მისაღებად საჭირო ფინანსების პრობლემა ჰქონდათ, რის გამოც ზოგჯერ სხვადასხვა ასპარეზობებზე გამგზავრება ვერ ახერხებდნენ, ხშირად კი ფინანსების გადახდა მათ მშობლებს უწევდა. ახლა ჩვენი ერთადერთი საზრუნავი არა ფინანსების მოძიება, არამედ მთლიანად ვარჯიშზე კონცენტრირება და კარგად მომზადება იქნება. იმედი გვაქვს, შედეგიც არ დააყოვნებს და მალე ახალი წარმატებები გვახარებთ გულშემატკივარს.“

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავთ!
მარიკა თევზაძეს!

ოზანის საჯარო სკოლის პედკოლექტივი გილოცავთ შვილების შორან თევზაძის და ნოდარ ჯანაიშვილის ქორწინებას.

ახალშეუღლებულებს ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ბედნიერებას და უღრეს სიხარულს.

ნოდარ პაპაშვილს!
ინო არაშვილს!

ჩვენი ასოციაციის აქტიურ წევრსა და წარმატებულ ახალგაზრდას ნოდარ პაპაშვილს ვულოცავთ ოჯახის შექმნას. ნოდარს და მის მშვენიერ მეუღლეს ვუსურვებთ, მარადიული სიყვარულით ყოფილიყოს გამთბარი მათი გულები, შეექმნათ მტკიცე ქართული ოჯახი და აკვანთა სიმრავლე დაჰბედებოდეთ.

პატივისცემით,
დედოფლისწყაროს მნიგნობართა ასოციაციის სახელით:
ვანო ნატროშვილი, ნაირა გორაშვილი, ხათუნა აბლაძე, ინგა შილაშვილი, ნანა ჭიჭინაძე, რაბინა ჯანაიშვილი, გივი ღვინიაშვილი, გივი გონაშვილი, მარიკა ღვინიაშვილი.

ბაჩუკი გონაშვილს!
ლია კობაიძეს!

გილოცავთ შვილების ნათია გონაშვილის და ღვინო ჭრელაშვილის ქორწინებას. ახლადშეუღლებულებს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერ მომავალს, გამრავლებას და გახარებას, სიცოცხლის ბოლომდე გაპყლოდეთ ის დიდი სიყვარული, რომელმაც ისინი ერთ უღელქვემ გააერთიანა. თქვენ კი მრავალგზის ბებიპაპობა დაგბედებოდეთ. გაიხარეთ თქვენს დიდ ოჯახთან ერთად.

პატივისცემით,
დედოფლისწყაროს მნიგნობართა ასოციაციის სახელით:
ვანო ნატროშვილი, ნაირა გორაშვილი, ხათუნა აბლაძე, ინგა შილაშვილი, ნანა ჭიჭინაძე, რაბინა ჯანაიშვილი, გივი ღვინიაშვილი, გივი გონაშვილი, მარიკა ღვინიაშვილი.

იყიდება!

იყიდება ბინა ბელეტაჟზე, ეზოთი და სათავსოებით. მისამართი: 9აპრილის 69. ფასი შეთანხმებით.

☎ 579 15 20 87

ყურადღება!

ქ. დედოფლისწყაროში, ნიკორციხის ქ N62-ში, საავადმყოფოს ქვემოდას, არმისული ბამის ტერიტორიაზე, ყოფილი ოლიფის ქარხნის ტერიტორიაზე მდებარე ინკუბატორი „ქარიშხალი“ გთავაზობთ ქათმის და იხვის ერთდღიან, ორკვირიან, სამკვირიან წინილებს. ინკუბატორი ფუნქციონირებას იწყებს 1 მარტიდან. სანარმომში უმაღლეს დონეზე დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და დამონტაჟებულია სტანდარტით შესაბამისი ინკუბატორის სარეკი დანადგარი, სადაც ასევე დაცულია ტენიანობა და ტემპერატურის რეჟიმი. გარდა წინილის შექმნისა, შეგიძლიათ მოიტანოთ იხვის, ქათმის, ბატის, ინდაურის, ციკარის, ხოხბის კვერცხები. გისურვებთ წარმატებებს.საკონტაქტო ტელეფონები:

☎ 557 57 16 65; 555 11 00 65; 599 18 00 65.

ამინდი	დედოფლის	სურ
ორშაბათი 22.02 ღამი 22.02	სამშაბათი 23.02 ღამი 23.02	ოთხშაბათი 24.02 ღამი 24.02
3°	2°	7°
ღამი 23.02	ღამი 24.02	ღამი 25.02
5°	8°	6°
ღამი 24.02	ღამი 25.02	ღამი 26.02
11°	9°	7°
ღამი 25.02	ღამი 26.02	ღამი 27.02
12°	10°	7°
ღამი 26.02	ღამი 27.02	ღამი 28.02
6°	4°	

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შილაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მხრისიანი, ილია მარტყოფლიშვილი (გურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მწერელი); ნათია გონაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაიშვილი (ფოტო-მწერელი); მზინა ქანაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ პაპაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს. „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქ დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)
რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.